საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორც ბოლშევიკი სიტყვაა, ტყვიებით და ჯიბეებით ბუტბის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი. 2023 წ. №117 (9649) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

უცილობლობს ვითა ჯორი!

მონასტერში, ოფელია...

ლია წერილი ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

იხ. 3 გვ.

კონსტიტუციის დარღვევი

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტზე მიღებული დასკვნა მხოლოდ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა

საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ფაქტზე მიღებული დასკვნა საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

„2023 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე (№1797 კონსტიტუციური წარდგინება), გამოაქვეყნა დასკვნა და დაადგინა საქართველოს პრეზიდენტის, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, რაც გამოიხატა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების განხორციელებით და ოფიციალურ პირებთან სამუშაო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამართვით.

კონსტიტუციური წარდგინების ავტორების არგუმენტაციით, საქართველოში მოქმედი კონსტიტუციური სისტემისა და მმართველობის საპარლამენტო მოდელის პირობებში, საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე ექსკლუზიურად უფლებამოსილ ერთადერთ კონსტიტუციურ ორგანოს საქართველოს მთავრობა წარმოადგენს. მათი პოზიციით, კონსტიტუციური კანონმდებლის ასეთი მიდგომა ასახულია სახელისუფლებო განშტოებებს შორის კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილებათა გამიჯვნითა და დანაწილებით, ისევე როგორც რიგი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებით, მათ შორის, უწინარესად, საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესით, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კონსტიტუციური წარდგინების ავტორები აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუციითვე დადგენილი საქართველოს მთავრობის სავალდებულო თანხმობის არარსებობის მიუხედავად, საზღვარგარეთ განახორციელა სამი სამუშაო ვიზიტი. წარდგინების ავტორთა მითითებით, საქართველოს პრეზიდენტმა ზემოხსენებული ვიზიტებით, ერთი მხრივ, განახორციელა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საგარეო ურთიერთობათა სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, აწარმოა მოლაპარაკებები უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტებთან, **რაც წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას და, კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, ქმნიდა იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საფუძველს.**

იხ. 2 გვ.

კვალი საუკუნეში

7

დავით მუსხელიშვილი:

სახელმწიფოს ტერიტორია ქართველი ხალხის შემოქმედებაა!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

6

პათოლოგიური მორფოლოგიის დღევანდელი მდგომარეობა და პრობლემები

იხ. 8 გვ.

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა რჯულისაა მსხვერპლი...



ახალი სიტყვა დიდ ფიროსმანზე

იხ. 9 გვ.

კონსტიტუციის დამრღვევი

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც მოწვეული იყო კონსტიტუციური წარდგინების არსებითი განხილვის სხდომაზე, არ გამოცხადდა. შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია სასამართლოს წარუდგინეს მისმა წარმომადგენლებმა. მათი აზრით, პრეზიდენტი მოქმედებდა კონსტიტუციის 49-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც მართალია, საზოგადოდ პრეზიდენტის სტატუსს შეეხება, მაგრამ მისი მესამე პუნქტი პრეზიდენტის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს. შესაბამისად, მიიჩნიეს, რომ კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი გულისხმობს და პრინციპულად უშვებს პრეზიდენტის მხრიდან საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას მთავრობის თანხმობის გარეშეც. საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელთა განმარტებით, პრეზიდენტს მხოლოდ მაშინ ესაჭიროებოდა მთავრობის თანხმობა, როდესაც მისი აქტივობა საგარეო ურთიერთობათა სფეროში გასცდებოდა მთავრობის ოფიციალურ კურსს და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. მათივე მტკიცებით, პრეზიდენტი მოქმედებდა კონსტიტუციის 78-ე მუხლის შესაბამისად, რაც ასევე გამორიცხავდა მისი მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის ფაქტს. შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინების ავტორთა მხრიდან, პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის მტკიცება უსაფუძვლო იყო და პრეზიდენტი განხორციელებული სამუშაო ვიზიტების დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 78-ე მუხლით, ხოლო 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევაზე მითითება არარელევანტური იყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ, უწინარეს ყოვლისა, განხილვის საგნის სპეციფიკურობისა და მისი სრულყოფილი კონსტიტუციურსამართლებრივი შეფასების მიზნებისთვის, პირველ რიგში, გამოიკვლია და დაადგინა ფაქტები, ხოლო შემდეგ სამართლებრივად შეაფასა ისინი კონსტიტუციის ყველა რელევანტურ ნორმასთან მიმართებით. სასამართლომ ფაქტების დადგენის ნაწილში გამოიყენა „ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულების“ სტანდარტი.

მტკიცების ამ სტანდარტის გამოყენებით, საკონსტიტუციო სასამართლომ, დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის რანგში, მთავრობის თანხმობის გარეშე, განახორციელა სამუშაო შეხვედრები საზღვარგარეთ საგარეო პოლიტიკურ საკითხზე.

რაც შეეხება ხსენებული ფაქტების სამართლებრივ შეფასებას, საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში. კონსტიტუციის სტრუქტურის, კონსტიტუციური ორგანოების უფლებამოსილებებისა და რელევანტური კონსტიტუციური ნორმების სისტემური განმარტებისა და ურთიერთკავშირის საფუძველზე, სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მმართველობის საპარლამენტო მოდელის გათვალისწინებით, წარმოადგენს პოლიტიკურად ნეიტრალურ ფიგურას, რომელიც არ ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას. ამასთანავე, განმარტა რა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე (პრეზიდენტის სტატუსი) და 52-ე (პრეზიდენტის უფლებამოსილებანი) მუხლები, სასამართლომ მიუთითა, რომ პრეზიდენტის სტატუსის შესაბამისი უფლებამოსილებანი საგარეო ურთიერთობებში გათვალისწინებულია მხოლოდ კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, ხოლო 49-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზიდენტის სტატუსის თითოეული ასპექტი, ისევე როგორც კონსტიტუციის 78-ე მუხლი, დამოუკიდებლად, პრეზიდენტის რაიმე უფლებამოსილებას არ ადგენს. სასამართლოს განმარტებით, საკუთრივ კონსტიტუციის მოთხოვნას წარმოადგენს, რომ პრეზიდენტის ნებისმიერი უფლებამოსილება კონსტიტუციის ამა თუ იმ ნორმით იყოს პირდაპირ და სახელდებით გათვალისწინებული.

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, განმარტა საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისა და მოლაპარაკების წარმოების კონსტიტუციური შინაარსი, მათი ძირითადი მახასიათებლები და კრიტერიუმები, ასევე ხაზი გაუსვა ამ სფეროში საქართველოს მთავრობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და დაადასტურა, რომ არსებული კონსტიტუციური წესრიგის პირობებში, საქართველოს პრეზიდენტის ნებისმიერი საგარეოპოლიტიკური აქტივობა წინდაწინვე სავალდებულო წესით ექვემდებარებოდა საქართველოს მთავრობის მხრიდან თანხმობის არსებობას; რომ პრეზიდენტს უფლება არ აქვს საგარეო პოლიტიკის განხორციელების სფეროში მთავრობის ექსკლუზიურ კომპეტენციაში შეიჭრა და დამოუკიდებელი, პარალელური საგარეო პოლიტიკა განახორციელოს. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „მთავრობისგან თანხმობის მიღება“ გულისხმობდა მთავრობასთან სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებში შეთანხმებული მოქმედების ვალდებულებას პრეზიდენტისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ დააბუსტა, რომ კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ნაგულისხმები არ იყო და ვერც იქნებოდა მთავრობის მხრიდან პრეზიდენტისათვის თანხმობის მიცემა შემთხვევებში, როდესაც პრეზიდენტის შესაბამისი აქტივობა არ შეესაბამებოდა საგარეო პოლიტიკის სფეროში მთავრობის მიერ განსაზღვრულ ძირითად მიმართულებებს, რის გამოც, საფუძველი არ გააჩნდა მტკიცებას, რომ თითქოს პრეზიდენტს მთავრობის თანხმობა არ ესაჭიროებოდა, როდესაც მისი ქმედება ამ მიმართულებებს შეესაბამებოდა და მთავრობის პოლიტიკას აცდენილი არ იყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ უშუალოდ კონსტიტუციურ წარდგინებაში იმპიჩირებად ქმედებად მიჩნეულ, პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ სამ სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებით, დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, პრეზიდენტის რანგში, განახორციელა საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლობა და სამივე შემთხვევაში აწარმოა მოლაპარაკებები უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტებთან საგარეო პოლიტიკურ საკითხზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ქმედების კონსტიტუციურობის შეფასებაზე გავლენას ვერ მოახდენდა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი, რამდენადაც იგი კონსტიტუციურ ორგანოებს „საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში“ ავალდებულებდა ყველა შესაძლებელი ზომის მიღებას საქართველოს ევროინტეგრაციის მიზნებისათვის, რაც იმას გულისხმობდა, რომ ეს მუხლი საქართველოს პრეზიდენტსაც მხოლოდ „საკუთარი უფლებამოსილების“ ფარგლებში მოქმედების მანდატს ანიჭებდა და შესაბამისად, ამ მიმართულებით ნებისმიერი საქმიანობაზე, სადაც საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებდა საგარეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს წარმომადგენლობას, ვრცელდებოდა კონსტიტუციის 52-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნა მთავრობისგან თანხმობის მიღების თაობაზე.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კონსტიტუციის ერთი ნორმით დაწესებული დანაწესის დარღვევა ვერ გამართლდებოდა კონსტიტუციის მეორე ნორმის დაცვის საბაბით, მათ შორის, კეთილი განზრახვის მოტივაციის მოშველიებით. თავისთავად ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნს ისახავდა, ვერ გააუქმებდა კონსტიტუციის 52-ე მუხლის დარღვევის ფაქტს, ვერ გაანეიტრალებდა მას ან/და ვერ შესძენდა იმდენად უმნიშვნელო ხასიათს, რომელიც იმპიჩმენტურ ბრალდებას სამართლებრივ საფუძველს გამოაცლიდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პრეზიდენტის ფიციც, რომელიც ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა დადო, ავალდებულებდა მას საქართველოს კონსტიტუციის დაცვას. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პრეზიდენტს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას მთავრობის თანხმობის საჭიროება, რაც არაერთი გარემოებით მტკიცდებოდა და, ამასთანავე, ემყარებოდა გონივრულ პრეზუმფციას, რომ იგი გარკვეული იყო (უნდა ყოფილიყო) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა და პასუხი გასცა სხვა არაერთ სამართლებრივ საკითხს, რაც კონსტიტუციური წარდგინების ზეპირი მოსმენის დროს იქნა პროცესის მონაწილეების მხრიდან დაყენებული.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა დასკვნით დაადასტურა, რომ **საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა 2023 წლის 31 აგვისტოს, პირველ და 6 სექტემბერს, საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების დროს საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, რითიც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესი. სასამართლო ასკვნის, რომ აღნიშნული წარმოადგენს „კონსტიტუციის დარღვევას“ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მიზნებისათვის.**

სალომე ზურაბიშვილი:

„ოცნების“ ოცნების დრო დამთავრდა!

არ გადავდგები, არ გადმოვდგები, პარლამენტშიც მივალ, მინდა, ვურჩიო ოპოზიციას, ძლიერი სურათი თუ უნდათ, გარეთ დადგნენ, შიგნით მე ვიქნები...

„ჩემი დუმილის დრო დასრულდა. აქამდე თავს ვიკავებდი, რამეთუ ჩავთვალე, რომ ვიდრე საკონსტიტუციო პროცესი მიმდინარეობდა, ჩემი ამ პროცესში უშუალოდ ჩარევა არ იყო საჭირო. ჩემი წარმომადგენლები, რომლებიც ჩემზე სამართლებრივი კუთხით მევრად უფრო მცოდნეც არიან და იციან, როგორ წარიმართოს ასეთი პროცესი, მათი როლი იყო მევრად უფრო მნიშვნელოვანი.

მათ სრულყოფილად ჰქონდათ ჩემი ნდობა და სრულყოფილად შეასრულეს დაკისრებული ვალდებულება. მართალი გითხრათ, დღეს ცოტა არ იყოს, გული მეტკინა, თუმცა ამ ქვეყანაში უკვე არაფერი მიკვირს. ნამდვილად არ გამიკვირდა დღევანდელი შედეგი, მაგრამ გული მეტკინა იმ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რომელიც დღესდღეობით იყო დარჩენილი, როგორც ჩვენს სამართლებრივ სისტემაში ერთ-ერთი ადგილი, სადაც კიდევ გარკვეულწილად ნდობას იმსახურებდა სასამართლო.

ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ, ᲝᲤᲔᲚᲘᲐ...

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ, ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲒᲝᲜᲘᲐᲗ?! ᲗᲣ ᲒᲒᲝᲜᲘᲐᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲡᲕᲐᲗ: ᲕᲘᲡᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ? ᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲘᲗ ᲒᲣᲨᲘᲜ? ᲒᲐᲠᲔᲗ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲓᲔᲑᲓᲘᲗ?! ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ?!

ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲙᲐᲓᲠᲐᲗ, ᲠᲘᲡᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ?!

ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲬᲧᲐᲚ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲘᲗ?!

ᲗᲣ ᲘᲛ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲞᲘᲩᲛᲔᲜᲢᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ?!

ᲗᲣ ᲘᲛ „ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ“, ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲔᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲝᲓᲐ – ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐᲡ, ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲬᲝᲗᲚᲘᲗᲔᲡ...

ᲐᲘ, ᲐᲛᲐᲗ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ „ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲮᲝᲠᲪ“...

ᲘᲡᲔ, ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲒᲔᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲐᲛᲜᲐᲘᲠ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ.

ᲐᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲗ. ᲕᲔᲠᲪ ᲛᲔᲘᲤᲘᲤᲔᲠᲘ. ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

ᲘᲥᲜᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲑᲠᲐᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲒᲔᲗ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲠᲐᲛ ᲐᲗᲓᲛᲔᲕᲘᲜᲐ ᲢᲘᲪᲘᲐᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔᲡ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: „ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲐᲦᲐᲠ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ, ᲐᲜᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲡᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ“...

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ!

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲒᲘᲗᲥᲕᲐᲛᲗ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

ᲒᲣᲨᲘᲜᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲗᲥᲕᲘᲗ, ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲡᲝ.

ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑ, ᲔᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲥᲝᲠᲘᲫᲔᲛ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ: ᲜᲣ ᲐᲙᲐᲓᲠᲔᲑᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ „ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲗ, ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲐᲝ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲗᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲛᲝᲛᲣᲚᲔ, ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ?!

ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲘᲪᲘᲗ. ᲐᲠᲪ ᲬᲐᲒᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲠᲐ ᲬᲐᲒᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ?!

ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲬᲧᲐᲚ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲘᲗ?!

ᲗᲣ ᲘᲛ „ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ“, ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲔᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲝᲓᲐ – ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐᲡ, ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲬᲝᲗᲚᲘᲗᲔᲡ...

ᲘᲡᲔ, ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲒᲔᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲐᲛᲜᲐᲘᲠ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ.

ᲐᲘ, ᲐᲛᲐᲗ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ „ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲮᲝᲠᲪ“...

ᲘᲡᲔ, ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲒᲔᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲐᲛᲜᲐᲘᲠ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ.

ᲐᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲒᲔᲗ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲠᲐᲛ ᲐᲗᲓᲛᲔᲕᲘᲜᲐ ᲢᲘᲪᲘᲐᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔᲡ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: „ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲐᲦᲐᲠ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ, ᲐᲜᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲡᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ“...

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ!

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲒᲘᲗᲥᲕᲐᲛᲗ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

ᲒᲣᲨᲘᲜᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲗᲥᲕᲘᲗ, ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲡᲝ.

ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑ, ᲔᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲥᲝᲠᲘᲫᲔᲛ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ: ᲜᲣ ᲐᲙᲐᲓᲠᲔᲑᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ „ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲗ, ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲐᲝ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲗᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲛᲝᲛᲣᲚᲔ, ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ?!

ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲘᲪᲘᲗ. ᲐᲠᲪ ᲬᲐᲒᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲠᲐ ᲬᲐᲒᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ?!

ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲠᲝᲛ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘᲐ, ᲔᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲛ ᲒᲔᲜᲘᲝᲡᲛᲐ ᲓᲐᲒᲕᲜᲐᲮᲐ, ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲔᲞᲐᲢᲘᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲠᲐ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ ᲐᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲓᲐᲠᲛᲐ?!

„ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲝᲗ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘᲐ!“

„ᲣᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲝᲓ, ᲓᲔ, ᲔᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲒᲐᲓᲛᲔᲥᲪᲔᲡ ᲨᲮᲐᲛᲐᲓ“...

„ᲗᲣ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲔᲤᲔᲠᲝᲡ, ᲛᲔ ᲛᲝᲕᲙᲕᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲡ ᲨᲔᲰᲤᲔᲠᲘᲡ“..

* * *

ᲗᲣ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲔᲤᲔᲠᲝᲡᲝ...

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲛᲝᲒᲔᲤᲔᲠᲐᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ „ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲗ“...

ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲒᲔᲤᲔᲠᲐᲗ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲒᲘᲠᲩᲘᲐᲗ.

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲠᲘᲗ ᲓᲐᲣᲤᲐᲡᲔᲗ?!

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲠᲜᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲖᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲠᲘᲗ?!

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲝ. ᲛᲐᲗᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲜᲝ (ᲗᲥᲕᲔᲜᲔᲣᲚᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲗ“ �რᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ). ᲰᲝ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ?!

ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲒᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐᲗ, ᲕᲘᲜ ᲣᲬᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ „ᲮᲛᲐᲗᲐ ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲐ“...

* * *

ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲝ.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲘᲭᲘᲠᲡ. ᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲣᲢᲐᲜᲔᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲓᲝᲢᲘᲔᲠᲐᲓ ᲗᲣ ᲢᲘᲠᲐᲜᲔᲑᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲙᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ (ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ?) ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲒᲕᲔᲠᲞᲚᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲔᲡ.

ᲯᲕᲐᲠᲘ ᲔᲬᲔᲠᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲕᲐᲠᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲔᲬᲔᲠᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲡ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲘᲥᲪᲐ.

ᲣᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲓᲔ, ᲦᲕᲘᲜᲝᲪ ᲨᲮᲐᲛᲐᲓ �გᲐᲓᲐᲛᲔᲥᲪᲔᲡᲝ, – ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲝᲜᲛᲐ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘ, ᲣᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲝᲓ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲒᲔᲥᲪᲐᲗ ᲨᲮᲐᲛᲐᲓ.

ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲡᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ, ᲕᲘᲡᲓᲐ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲗ „ᲒᲐᲠᲔᲗ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲙᲔᲜ?!“ ᲘᲛ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲙᲐᲓᲠᲐᲗ, ᲠᲘᲡᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ?! ᲘᲛᲐᲗᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲮᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲐ?!

* * *

ᲕᲐᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲜᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲚᲐᲜᲫᲦᲕᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲜᲘ.

ᲔᲡ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲡᲯᲘᲙᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲕᲔᲜᲐ. ᲣᲤᲠᲝ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ, ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲗᲣ ᲒᲐᲜᲣᲒᲔᲑᲗ:

„ᲬᲐᲓᲘ, ᲬᲐᲓᲘ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ, ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ, ᲝᲤᲔᲚᲘᲐ“...

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲛᲮᲓᲐᲠᲕᲐᲠ, ᲠᲐᲒᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲝᲤᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲒᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲡᲕᲘᲓᲔᲗ, ᲔᲡ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲕᲘᲪᲘ...

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲯᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ

ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲡᲔᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲓᲐᲓᲝ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲠᲪᲮᲕᲔᲜᲝᲓᲔᲡ! ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲠᲪᲮᲕᲔᲜᲝᲓᲔᲡ. ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲡᲐᲛᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲬᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝᲡᲘᲡ. ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲡᲐ – ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ“...

* * *

„ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲒᲐᲛᲮᲜᲔᲕᲝᲗ, ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲘᲡᲛᲔᲜᲔᲡ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠ. ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲒᲔᲑᲘ, ᲐᲠ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲓᲒᲔᲑᲘ, ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲐᲠ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲓᲐᲕᲠᲩᲘ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲕᲘᲓᲔᲥᲘ, ᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲘᲗ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲪ, ᲐᲜ ᲡᲪᲐᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲪ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲛᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲨᲢᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲕᲔᲠ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ“...

* * *

„ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲛᲐᲗ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑ. ᲐᲠᲡᲐᲓ ᲬᲐᲕᲐᲚ. ᲐᲮᲚᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲤᲘᲥᲠᲝᲜ, ᲛᲔᲠᲔ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲯᲝᲛᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲔᲡ ᲛᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ. ᲛᲔ ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲓᲒᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ, ᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ, ᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ

პრემიერი ამერიკის ახალ ელჩს რობინ დანიგანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში რობინ დანიგანს შეხვდა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ირაკლი ღარიბაშვილმა რობინ დანიგანს საქართველოში დიპლომატიური მისიის დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა.

„მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობა განიხილეს და მიმდინარე საკითხებზე მოსაზრებები გაცვალეს; გამოითქვა ქვეყნებს შორის მრავალგანზომილებიანი სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებისა და გაფართოების მზაობა.

ყურადღება გამახვილდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე და უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე. რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო ყოველთვის მზად არის, თავისი წვლილი შეიტანოს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ირაკლი ღარიბაშვილმა რობინ დანიგანთან საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტზე ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების მნიშვნელობაზე ისაუბრა. პრემიერ-მინისტრმა ელჩს ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად საქართველოს მიერ გატარებული რეფორმებისა და განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია გაუზიარა. მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები სათანადოდ იქნება აღიარებული.

პრემიერ-მინისტრმა ახლად დანიშნულ ელჩს მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი აშშ-ის ურყევი მხარდაჭერისათვის.

შეხვედრის დასრულების შემდეგ რობინ დანიგანმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და ყველა მოუთმენლად ელის საქართველოსა და აშშ-ის პარტნიორობისა და მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

„ძალიან ვაფასებ დღევანდელ შეხვედრას პრემიერ-მინისტრთან. მე ვუთხარი პრემიერ მინისტრს, რომ პრეზიდენტი ბაიდენი, მდივანი ბლინკენი და ჩვენ ყველა მოუთმენლად ველით ჩვენი პარტნიორობისა და მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავებას. ჩვენი მეგობრობისა და პარტნიორობის 31 წლის განმავლობაში, შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სხვადასხვა მიმართულებით - განათლებისა და ჯანდაცვის სექტორებს, აგრეთვე ინფრასტრუქტურის განვითარებას. ქართველი ჯარისკაცები კი ამერიკელი ჯარისკაცების მხარდამხარ იდგნენ ავღანეთში, ერაყსა და კოსოვოში. მე ასევე ვუთხარი პრემიერ-მინისტრს, რომ მოუთმენლად ველი მხარი დავუჭირო საქართველოს დასავლეთში, ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციის წინსვლას. მე მინდა გავაფართოოთ ჩვენი ხალხთაშორისი და ეკონომიკური ურთიერთობები, ასე რომ, მოუთმენლად ველოდები ამ ქვეყნისა და ქართველი ხალხის უკეთ გაცნობას“, – განაცხადა რობინ დანიგანმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოში აშშ-ის საელჩოს მრჩეველი პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებში მარკ ნორდბერგი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე“.

ირაკლი ღარიბაშვილი:

ჩვენმა ხელისუფლებამ სტატუსისთვის გააკეთა მაქსიმუმი!

ჩვენ ვიყავით გრანადაში და მე მქონდა არაერთი შეხვედრა ჩვენს **ევროპელ ლიდერებთან, საკმაოდ დიდი პროგრესი გვაქვს, მოლოდინები არის საკმაოდ პოზიტიური, არ მინდა, იმაზე მეტი ვთქვა, რაც არის მიზანშეწონილი, მე მივდივარ ბრიუსელში, მექნება შეხვედრები, ჩვენ ახლა აქტიურად ვმუშაობთ კომისიასთან, შესაბამის სტრუქტურებთან,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

„ვფიქრობ, რომ საქართველომ გააკეთა მაქსიმუმი, ჩვენმა ხელისუფლებამ, მიუხედავად დესტრუქციისა და საბოტაჟისა ოპოზიციის მხრიდან, შიდა თუ გარე მტრების მონდომებისა, რომ ეს პროცესი რამენაირად შეფერხებულიყო, ჩვენ შეიძლება ითქვას, რომ გავედით ბოლოში. ამ ბოლოში გასვლას ჩვენ ველოდებით იმედიანად, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ჩვენი ხელისუფლების დამსახურებით, ჩვენი ხალხის მობილიზებით და მათი ნების გამოხატულებით, იმსახურებს კანდიდატის სტატუსს. მიუღებელი იქნებოდა სხვა გადაწყვეტილება, ისე როგორც იყო მიუღებელი, გაუმართლებელი და უხეში შეცდომა დაშვებული ევროპის მხრიდან, მაგრამ აღარ მინდა წარსულზე კომენტარი, უნდა ვიფიქროთ მომავალზე. ბოსნია და ჰერცეგოვინას აქვს სტატუსი, უკრაინას, მოლდოვას. მე ყველას მადლობა მინდა, ვუთხრა, წარმატებები ამ ქვეყნებს. მე ჩემს ქვეყანაზე მაქვს მთავარი ფოკუსირება, დამსახურებაზე და ყველაფერზე, რაც ჩვენ გავაკეთეთ“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

კახა კალაძე:

ორი „ლუზერი“, ჯაფარიძე და ხოშტარია – რაღაც სისულელეს რომ აკეთებენ... მკვდარი მკვდარს აეკიდაო, ასეა მათი საქმე!

აგენტი **როდესაც ხარ, შეუძლებელია, შენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესი გაატარო, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ „გირჩი – მეტი თავისუფლებისა“ და „დროას“ მიერ შექმნილი ახალი პროექტის, „მონა.ჯი“ შესახებ საუბრისას განაცხადა.**

მისი თქმით, ეს ადამიანები არიან მავნებლები, რომლებიც ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

„ორი „ლუზერი“ რაღაც სისულელეს რომ აკეთებს, ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება შეუძლებელია. ისინი თავისი ფსიქოლოგიით არიან ჩვეულებრივი მავნებლები და მოქმედებენ ქვეყნის საწინააღმდეგოდ. აგენტი როდესაც ხარ, შეუძლებელია, შენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესი გაატარო. ერთი ჩახდილი დარბოდა, შოუებს გვიტარებდა, მეორე რუსული რუბლებით ფინანსდება. ამ ადამიანებზე სერიოზულად როგორ ვისაუბრო. მკვდარი მკვდარს აეკიდაო, ასეა მათი საქმე“!

ირაკლი კობახიძე:

მონა.ჯი არის „კანვასის“, „ფრანკლინის კლუბის“ უთავო თავი!

მონა.ჯი **არის „კანვასის“, „ფრანკლინის კლუბის“, აკერმანის სახელმძღვანელოებისა და ტრენინგების ერთ-ერთი თავი, ასეთ რაღაცებს სწორედ იქ ასწავლიან, როგორ უნდა სცადო, რევოლუციის დაგეგმვა,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

მისი თქმით, საზოგადოებამ კარგად იცის, ვინ არიან ზურაბ ჯაფარიძე და ელენე ხოშტარია.

„ორივე არის უცხოელი აგენტი. ხოშტარია დღემდე რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებს. როგორ უნდა ილაპარაკოს, სხვის მონობაზე? – ჩვეულებრივი აგენტები არიან. დარჩებიან იმ ერთპროცენტიან რეიტინგზე, რაც დღეს აქვთ. მათი მხრიდან ეს არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, უბრალოდ, ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება წარმატებული. მათ არც სამშობლო და არც სახელმწიფო აქვთ, არავითარი ღირებულება. ისინი მარტივი სახელმძღვანელოებით მოქმედებენ, რომელსაც მათი პატრონები საზღვარგარეთ წერენ. რასაც აკეთებენ, ჩვეულებრივი ინსტრუქციაა“, – განაცხადა კობახიძემ.

კახა კალაძე:

იპოდრომი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სადაც „ქართუ“ ხარჯავს საკუთარ თანხას პარკის მოსაწყობად!

დედაქალაქის მერი კახა კალაძე მედიასთან საუბრისას გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას ფონდ „ქართუს“ მიერ იპოდრომის ტერიტორიის თითქოსდა დაბრუნებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს ტერიტორია არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მისი თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილი ცენტრალური პარკის მშენებლობას ფონდი „ქართუ“ განახორციელებს.

კახა კალაძემ ასევე უპასუხა ჟურნალისტის კითხვას, ფონდ „ქართუს“ ტრანზაქციების გამჭვირვალობის პრობლემაზე და განაცხადა, რომ იმ პროექტების შესახებ, რომელიც ფონდმა 6-მილიარდიანი ქველმოქმედების ფარგლებში წლების განმავლობაში განახორციელა, ფართო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი.

„თუ მიმართავთ ფონდს, დარწმუნებული ვარ, ყველა კითხვაზე იქნება პასუხი. საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ არის აბსოლუტურად ღია, გამჭვირვალე, აღნიშნულმა ფონდმა უამრავი პროექტი განახორციელა წლების განმავლობაში. ეს იყო სკოლების აღდგენა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა, განახლებამოწესრიგება, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ჯარის მხარდამჭერი პროგრამები, რომელი ერთი ჩამოვთვალო, თუ არ ვცდები, 6 მილიარდი დოლარის ქველმოქმედება აქვს განხორციელებული აღნიშნულ ფონდს. შესაბამისად, ჩვენ მადლობის მეტი რა გვეთქმის. ასეთი ადამიანები, ასეთი ფონდები ბევრი უნდა იყოს, ვინც ქვეყანას დაეხმარება, ვინც ხალხს დაეხმარება და სახელმწიფოს ხელს შეუწყობს განვითარებაში“, – განაცხადა კახა კალაძემ.

4 მინიმოედანი ფოთში

ქალაქ ფოთში, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ფარგლებში, სრულად განახლდა 4 მინი მოედანი შემდეგ მისამართებზე: არზიანის ქუჩა, ახალი რაიონი, კოსტავას ქუჩა, გორგასლის ქუჩა. ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს.

რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო ხელოვნური მინდვრის საფარი, განთავსდა ახალი კალათბურთის ფარები, დამონტაჟდა გარე განათება, შეიღება მთლიანად შემოღობვის კონსტრუქციები. შესრულებული სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 255 219 ლარი.

ქუთაისი-ბაღდათის დამაკავშირებელი გზა განახლდა!

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, ქუთაისი-ბაღდათის დამაკავშირებელი გზის (მუხნარის ტყის ტერიტორია) რეაბილიტაცია დაასრულა, – ამის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, რეაბილიტირებული 5 კმ-იანი მონაკვეთით იწყება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზა, რომელიც ქალაქ ქუთაისს ბაღდათთან და ვანთან აკავშირებს. აღნიშნული მონაკვეთი მიდის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტამდეც. შესაბამისად, ამ მონაკვეთის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანი იყო როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე რეგიონის ვიზიტორებისა და ტურისტებისათვის. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 8.6 მილიონი ლარი შეადგინა.

ტექნიკური უნივერსიტეტის ღირსეული ლიდერი

აკადემიკოსი

დავით გურგენიძე – 60

თვალსაჩინო მეცნიერმა, სასახელო პიროვნებამ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა **დავით გურგენიძემ** მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა შორის და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს მის სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას, იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც ბატონი დავითი როგორც პროფესორი, დეკანი და შემდგომ რექტორი უთმობს ახალგაზრდა თაობის პროფესიული განვითარების საკითხებს, საერთოდ კი სტუდენტი ახალგაზრდობა ყოველთვის იყო მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი და დღესაც ასეთად რჩება.

დიდი, სამაგალითო შრომითი გზა განვლო ბატონმა დავითმა – მისი შრომითი ბიოგრაფია იწყება ქალაქ მცხეთაში სამრეწველო კომბინატის მუშად დასაქმებიდან, შემდეგ ის მუშაობდა ზეინკლად, მონაწილეობდა ენგურჰესის მშენებლობაში, პროფესიული გამოცდილება მოიცავს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ აგებული ჰიდროენერგეტიკული, ჰიდრომელიორაციული ჰიდროკვანძებისა და თბოელექტროსადგურების საექსპლუატაციო ანალიზსა და მონიტორინგს, სხვადასხვა ენერგეტიკული, სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტის მშენებლობა-რეკონსტრუქციაში მონაწილეობას.

ბატონი დავითი არის რამდენიმე უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის საპატიო დოქტორი და პროფესორი. მეცნიერების განვითარებაში მისი დიდი ღვაწლის აღსანიშნავად 2023 წელს ის არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად, მისი ღვაწლის აღიარება იყო ის, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში შეტანილი გამორჩეული პირადი წვლილისათვის 1999 წელს ბატონი დავითი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ხოლო 2023 წელს – დანტე ალიგიერის საზოგადოების ოქროს მედლითა და დიპლომით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როგორც რექტორის კომპეტენტური და ღრმად გააზრებული დამოკიდებულება აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის განვითარების საკითხისადმი.

ბატონო დავით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მეუღლეს, მამასა და ბაბუას დაბადების მე-60 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ქ.თბილისი, 17 ოქტომბერი, 2023 წელი

ბიზნესში კადრების პრობლემა ვერა და ვერ გვარდება!

ბიზნესისთვის კვალიფიციური მუშახელი იმხელა პრობლემად იქცა, რომ საკითხის სიმწვავეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც კი გამოეხმაურა. მან ხაზი გაუსვა, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდის ფონზე ბიზნესი ადამიანური რესურსის სიმწირეს განიცდის. თავად კომპანიებში კი ამბობენ, რომ თითოეული თანამშრომლის წასვლა, ლამის დაუძლეველ პრობლემად იქცეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილის** ინფორმაციით, იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების სააგენტოში შემოსული ვაკანსიების თანახმად, გამოიკვეთა ყველაზე მსხვილი სფეროები, ეს არის საბითუმო და საცალო ვაჭრობა, განთავსების საშუალებები, სასტუმროები, უზრუნველყოფა და საკვების მიწოდების საქმიანობა, კვების ობიექტები, როგორიც არის სარესტორნო ბიზნესი და ა.შ.

„სულ სააგენტოში, დღეის მდგომარეობით, 10000-მდე ვაკანსია არის დაფიქსირებული. შარშან ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, საინტერესო, საკმაოდ ყოვლისმომცველი გამოიკვეთა ასეთი საგანგაშო მდგომარეობა:

აღმოჩნდა, რომ შარშან, 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოთა 32%-ს ჰქონდა ვაკანსია, რომელმაც ჯამში, თითქმის 140 000 ვაკანსია შეადგინა. ეს, რა თქმა უნდა, არის საგანგაშო. აქვე მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემები. იცით, რომ ჩვენ ბოლო პერიოდში, ბოლო 3 წელიწადში, საკმაოდ შევამცირეთ სიღარიბე და უმუშევრობა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის კვალიფიციური მუშახელი ბაზარზე, გვაქვს ძლიერი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ არ არის მიწოდება ასე ვთქვათ, კვალიფიციური მუშახელის, რაც სერიოზული პრობლემაა“, – განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა. საქართველოს ბიზნესასოციაციამ მესამე კვარტალის შედეგები გამოაქვეყნა, სადაც ამოკითხული კომპანიები, საუბრობენ გამოწვევებზე, რომლებიც ხელს უშლის მათ ბიზნესსაქმიანობას.

„2023 წლის მესამე კვარტალში კიდევ უფრო გამწვავდა კადრების დეფიციტის პრობლემა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევა ბოლო რამდენიმე კვარტალია.

სპეციალისტების ნაკლებობის პრობლემა განსაკუთრებით მძაფრად დასახელდა მშენებლობის სექტორის მიერ, რადგან ქვეყანაში არსებული მწვავე საკადრო დეფიციტის ფონზე, სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 9%-მა დააფიქსირა თანამშრომელთა შემცირება მესამე კვარტალში, ხოლო სამუშაო ძალის დეფიციტი ვაჭრობის სექტორისთვის აღმოჩნდა ყველაზე კრიტიკული“, – აღნიშნულია კვლევაში.

ვაჭრობასთან ერთად, ჰორეკა სექტორიც ერთ-ერთია, რომელიც მუდმივად თანამშრომლების ძიებაშია და მაინც სულ მწვავე პრობლემა უდგას. ყაზბეგში მდებარე სასტუმრო „სტეპ ინნ“-ის დამფუძნებელმა **ანი ალიგეგაშვილმა** დაადასტურა, რომ ყველაზე მტკივნეული საკითხი ბიზნესის მართვისას კვალიფიციური კადრების დეფიციტია.

„არ მეგონა თუ ასე რთული იქნებოდა გუნდის შექმნა, კადრების მოზიდვა. ყაზბეგში ადგილობრივების დასაქმება, ფაქტობრივად, გამორიცხულია, რადგან მათ თავიანთი საქმე აქვთ. გვიწევს თბილისიდან და სხვა რეგიონებიდან კადრების ჩამოყვანა და გადამზადება, თუმცა ყველა აქ ვერ ჩერდება, კლიმატური პირობების თუ სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით. თითოეული თანამშრომლის სამსახურიდან წასვლა ჩვენთვის დიდი ტრაგედიაა“, – განაცხადა **ალიგეგაშვილმა.**

თანამრომელთა დაქირავებისას სოციალურ დახმარებაზე მყოფი ადამიანების პრობლემაც იჩენს თავს.

„ქვეყანაში 600 ათასზე მეტი ადამიანია სოციალურად დაუცველი. მათ სურთ, რომ ხელზე გადავუხადოთ ხელფასი, რაც შეუძლებელია. თუ გინდა, რომ კეთილსინდისიერად მართო ბიზნესი და გქონდეს ყველაფერი გამჭვირვალე, ძალიან რთულია მორგება იმ რეალობაზე, რა რეალობაც ქვეყანაში გვაქვს. მოკლედ, ჩვენს სექტორს ძალიან უჭირს და აქ უკვე აღარ არის საუბარი ხელფასებზე“, – აღნიშნა სასტუმროს დამფუძნებელმა „ბიზნეს მედიასთან“ საუბრისას.

როგორც ბიზნეს ასოციაციის კვლევაშია აღნიშნული, კვალიფიციური კადრების კუთხით ყველაზე მეტად მშენებლობის სფეროს უჭირს, რასაც სრულიად ეთანხმება კომპანია „არსის“ აღმასრულებელი დირექტორი **გესო ორთოიძე**. პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ მსხვილი პროექტები ვერ ხორციელდება, რადგან კომპანიებში საკმარისი ადამიანური რესურსი არ არის.

„დღეს დარგში პრობლემაა როგორც კვალიფიციური კადრი, ასევე დაბალი რგოლის მუშახელი. შეიძლება, კომპანია ფინანსურად მზად იყოს ახალი პროექტის განსახორციელებლად, მაგრამ ვერ იწყებდეს იმის გამო, რომ საკმარისი ადამიანური რესურსი არ არის. რეალურად, შესაძლებელია, რომ ერთი კომპანია პარალელურად რამდენიმე პროექტზე მუშაობდეს, მევრს აქვს ამის შესაძლებლობა, რასაც კადრების სიმცირის გამო ვერ აკეთებს.

ზოგადად, პრობლემაა პროფესიული კადრი, რაც სექტორს დიდ დაბრკოლებას უქმნის. რეალურად ძალიან ცოტაა ადამიანი, რომელიც ამ დარგშია დასაქმებული და პროფესიული განათლება აქვს მიღებული. ძირითადად მაინც თვითნასწავლი კადრებია. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის მენტალური საკითხი. ყველა ცდილობს პოპულარული პროფესია შეარჩიოს, ხოლო როცა ამთავრებს სასწავლებლებს და ვერ იწყებს სამსახურს, მშენებლობაში საქმდება და აგროვებს გამოცდილებას. ბაზარი ძირითადად ასეთი კადრისგან არის დაკომპლექტებული“, – განაცხადა **ორთოიძემ.**

გეძა დანელია

ლევან დავითაშვილი:

ჩინეთთან ურთიერთობები კიდევ უფრო გაძლიერდება



ჩინეთთან სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომის ფარგლებში დეტალურად განვიხილეთ ყველა ის მიმართულება და მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს კიდევ უფრო გააძლიერებს, – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა პეკინში საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მე-8 სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

სხდომაზე მხარეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები და თანამშრომლობა ინვესტიციების დარგში, მათ შორის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სფეროში, ასევე სოფლის მეურნეობის სექტორში პოტენციური თანამშრომლობა.

ეს იყო პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა გამოცხადდა და ყველა ის პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც პრემიერ-მინისტრის ჩინეთში ვიზიტის დროს განისაზღვრა, უშუალო სამუშაო კომისიის ფორმატში უნდა იყოს განხორციელებული.

კომისიის სხდომაზე ასევე ხაზი გაესვა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობას.

აღინიშნა, რომ საქართველოს მიერ ჩინელი ტურისტებისთვის ვიზის გაუქმება ხელს შეუწყობს მეტი ჩინელი ტურისტის შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში და კოვიდპანდემიამდე არსებული ფრენების სიხშირის აღდგენას, ასევე ახალი, პირდაპირი ავიამიმართულებების დამატებას.

ლევან დავითაშვილის თქმით, ეს ყველაფერი გაზრდის ტურისტულ ნაკადებს და მეტ შემოსავალს მოიტანს საქართველოს ეკონომიკაში.

თანამედროვე სტანდარტების სპორტული მოედანი თიანეთში

დაბა თიანეთში, 9 აპრილის ქუჩაზე, სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოები დასრულდა.

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში, რომლის ღირებულებაც ნახევარ-მილიონ ლარამდეა, ადგილზე ყველა საჭირო ღონისძიება გატარდა. მათ შორის დაიგო ხელოვნური მწვანე საფარი, დამონტაჟდა კალათბურთის ფარები, გადახურული ტრიბუნები, ფეხბურთის კარები და გარე განათების სისტემა, მიმდებარე ტერიტორიაზე კი საპარკინგე სივრცე კეთილმოეწყო.

დაბა თიანეთში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპორტული მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოები მთის განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ მედიცინის, სნეულების სწორი დიაგნოსტირების საფუძველთა საფუძველს, პათოლოგიური ანატომია წარმოადგენს – ამის შესახებ ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოყოლებული იყო ცნობილი. არსი ისაა, რომ ავადმყოფის გარდაცვალების მიზეზის უტყუარად დადგენა მხოლოდ გვამის გაკვეთის შემდეგ მის ცალკეულ ორგანოთა გულდასმით შესწავლითაა შესაძლებელი. ეს კი, თავის მხრივ, ავადმყოფის სიცოცხლეშივე სწორი დიაგნოზის დასმისა და, შესაბამისად, სათანადო სამკურნალო სტრატეგიის შერჩევის საშუალებას იძლევა.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში საქართველოში პათოლოგიური ანატომიის განვითარებას, სრულიად დაუმსახურებლად, ნაკლები ყურადღება ექცეოდა. კანონმდებლობაში არსებულმა ხარვეზებმა თანდათანობით სრულად იჩინა თავი, უარყოფითად იმოქმედა არა მარტო პათოლოგიური ანატომიის განვითარებაზე, არამედ კლინიკურ მედიცინაზე საერთოდ. პათანატომიური ზედამხედველობისა და კონტროლის გარეშე დარჩენილ, თითქმის ყველა კლინიკურ მიმართულებაში მნიშვნელოვნად გაუარესდა მკურნალობის ხარისხი და მისი ეფექტურობა, თითქმის მთლიანად მოშლილია საკადრო პოლიტიკა პათოლოგიური მიმართულებით, დარგში აღარ მოდიან ახალგაზრდები, დარღვეულია პროფესიული მზადების პროგრამები და გეგმები, ქვეყანაში თითქმის აღარ ფუნქციონირებს მძლავრი პათოლოგანატომიური ცენტრები და სკოლები, ამდენად, ახლა საჭიროა დაკარგული დროის სწრაფი ტემპით ანაზღაურება და ამ მიმართულებით ძალზედ საშური მუშაობის გაშლა.

სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის, კერძოდ, საქართველოში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტის, ასევე პათოლოგიური ანატომიის სწავლების უაღრესად მტკივნეული საკითხის განხილვას მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც მისი თავმჯდომარე, აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი უძღვებოდა.

პათოლოგიური მორფოლოგიის დღევანდელი მდგომარეობა და პრობლემები

შესავალ სიტყვაში აკადემიკოსმა რ. ხეცურიანმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამედიცინო სფეროში ახლო მომავალში ჩასატარებელი რეფორმის ფარგლებში გასატარებელი კლინიკების აკრედიტაციის დროს, ყურადღება პირველ ყოვლისა მკურნალობის ხარისხზე უნდა გამახვილდეს. მისი თქმით, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის სამედიცინო ფაკულტეტების 60 პროცენტში, პათანატომია საერთოდ არ ისწავლება ან მას არაპროფესიონალები ასწავლიან, ხოლო სიცოცხლისმიერ სამედიცინო დიაგნოსტიკაში საკმაოდ ხშირია შეცდომები, რაც ცუდად აისახება მკურნალობის პროცესსა და შედეგებში.

„პათოლოგანატომიურ სამსახურში არსებული მდგომარეობის ანალიზსა და განვითარების პერსპექტივებს“ მიუძღვნა მოხსენება პროფესორმა **რიმა ბერიშვილმა.** ითქვა, რომ, 1990 წლის შემდეგ საქართველოს ყველა მხარის სამკურნალო დაწესებულებაში შემცირდა ოპერაციული მასალის კვლევის მასშტაბი, იშვიათი გამონაკლისის გარდა თითქმის აღარ ტარდება გვამთა პათოლოგიური გაკვეთები. შესაბამისად, აღარ ტარდება კლინიკური პათოლოგანატომიური კონფერენციები, რითაც, ფაქტობრივად, გაუქმდა ექიმთა კვალიფიკაციის სისტემური, უწყვეტი ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. მოგვიანებით, კერძოდ, 2013 წელს, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მომზადდა ბრძანებულების პროექტი, რომლითაც წარმოდგენილი იყო განახლებული რეკომენდაციები ოპერატიული, ბიოფსიური და ციტოლოგიური მასალის შეგროვების, აუტოფსიის მართვისა და მასალის შენახვის წესების შესახებ, თუმცა ბრძანების განახლებული პროექტი სამწუხაროდ არ დამტკიცდა.

მომხსენებლის თქმით, ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ კლინიკებში ფაქტობრივად არ ხდება პათოლოგანატომიური გაკვეთები. შედეგად, იკარგება ქვეყნის ნოზოლოგიური პროფილის განსაზღვრის, სწორი სტატისტიკური ინფორმაციის მიღებისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მსჯელობის შესაძლებლობა; არ იქმნება საფუძველი საექიმო შეცდომის გამოსწორებისთვის და, შესაბამისად, ექიმის კვალიფიკაციის სისტემატური, უწყვეტი ამაღლებისთვის; არ ტარდება კლინიკურ-პათოლოგანატომიური კონფერენციები, ასევე ვერ ხერხდება საავადმყოფოს კლინიკური განყოფილების მიერ გაწეული მკურნალობის ხარისხის კონტროლი, რაც ხელს შეუწყობდა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სწორ დაგეგმარებასა და სათანადო კონტროლს სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული თანხების ხარჯვის სისწორეზე; ხაზგასმით აღინიშნა, რომ ლაბორატორიებს, რომლებიც აწარმოებენ ბიოფსიური ოპერაციული მასალების დიაგნოსტიკას, გარე ექსპერტიზაც ესაჭიროებათ. წლეულს კი ჯანდაცვის სამინისტრომ პროტოკოლების სახით დაამტკიცა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის ტელეპათოლოგიის პროგრამის დანერგვისა და მინიმალური სპეციფიკაციები, პათომორფოლოგიური კვლევებისათვის ნიმუშების აღების, შენახვისა და ტრანსპორტირების ხარისხის უზრუნველყოფის, აგრეთვე ძუძუს რამდენიმე სახეობის პათოლოგიის საკითხების თაობაზე.

ამასთან, პროფესორმა რიმა ბერიშვილმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო საქართველოში პათოლოგანატომიურ სამსახურში ბოლო წლებში განვითარებულ ტენდენციებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ განვითარდა ბიოფსიური და ოპერატიული მასალის ჰისტოპათოლოგიური დიაგნოსტიკა; დაინერგა მოლეკულური დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, რამაც შესაძლებელი გახადა მკურნალობისადმი ახალი მიდგომების შემუშავება; მომზადდა პათოლოგანატომთა ახალი კადრები, ამაღლდა სიცოცხლისდროინდელ პათოლოგიურ ანატომიაში მომუშავე პათოლოგანატომთა კვალიფიკაციის დონე, დაფუძნდა და ამოქმედდა საქართველოს პათოლოგთა და საქართველოს პათოლოგთა და ციტოლოგთა ასოციაციები.

მოხსენების დასკვნით ნაწილში, ავტორმა სამჭოს წევრებს რამდენიმე რეკომენდაცია წარუდგინა, რომლებსაც შემდგომ, სამედიცინო სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების ჩატარებისას, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განსახილველად ქვეყნის მთავრობას, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგენს. კერძოდ:

– გვამის პათოლოგანატომიური გამოკვლევისთვის ჩამოყალიბდეს ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო სტრუქტურა (პათოლოგანატომიური კვლევების ცენტრები);

– გადაიხედოს და დამტკიცდეს პათოლოგანატომიური სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები, ინსტრუქციები და დოკუმენტაციის ფორმები;

– სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებების მუშაობის შეფასების ერთ-ერთ პირობად განისაზღვროს ბიოფსიური, ოპერაციული და სექციური მასალის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები;

– სიცოცხლისდროინდელი ბიოფსიური და ოპერაციული მასალის გამოკვლევისთვის ხელი უნდა შეეწყოს კერძო ლაბორატორიების მუშაობას, გარე ხარისხის კონტროლის შესაბამისი სისტემის ამოქმედებითა და მოთხოვნით;

– ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული გადამზადების პროგრამების მომზადება, მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: დიაგნოზის ფორმირება, თანატოგენეზი, ძირითადი დაავადე-

სახელმწიფოს ტერიტორია ქართველი ხალხის შემოქმედებაა!

ღვაწლმოსილი მეცნიერი და მამულიშვილი დავით მუსხელიშვილი – 95

გამორჩეულ სწავლულსა და პიროვნებას, ქართული საისტორიო სკოლის თავკაცს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს დავით მუსხელიშვილს 95 წელი შეუსრულდა. გულითადად ვულოცავთ ბატონ დავითს საიუბილეო თარიღს და მრავალჟამიერ სიცოცხლესა და ჩვეულ შემოქმედებით ენერგიას ვუსურვებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბატონი დავითი სამშობლოს სიყვარულს ბავშვობიდან ეზიარა და გასაკვირიც არ არის, რომ თავის საქმიანობად მამის, ქართულ სიძველეთა შესანიშნავი მკვლევრის, ლევან მუსხელიშვილის პროფესია აირჩია. ნიჭიერი ახალგაზრდის დაოსტატება აკად. ნიკო ბერძენიშვილმა ითავა. საგანდებოდ, გაცხადდა სახარებისეული შეგონება: „კმა არს მოწაფისა მის, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თვისი“ (მათე 10,25). დავით მუსხელიშვილმა ღირსეულად გააგრძელა თავისი დიდი მასწავლებლის სამეცნიერო ტრადიციები და საქართველოს ისტორიისა და საისტორიო გეოგრაფიის კვლევა ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

ბატონი დავითის ცხოვრებასა და შემოქმედებას არაერთი წერილი მიეძღვნა (იხ: კრებული „აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი“, თბ., 2003; ჟურნალი „ანალები“, №3, 2008). მისი მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაწვრილებითაა განხილული და შეფასებული დევი ბერძენიშვილის სპეციალურ ნარკვევში. სწორედ ამიტომ, მხოლოდ ბატონი დავითის სამეცნიერო ინტერესებში შემავალ მრავალფეროვან საკითხთა ჩამონათვლით შემოვიფარგლებით: საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია, ქართველთა ეთნოგენეზი და ქართველთა ეროვნული თვითშეგნება, უძველესი ხანის გორანამოსახლარები და ხევები, ფეოდალური (საციხისთავო და საქალაქო) ქვეყნები, ციხე-სიმაგრეთა ლოკალიზაცია, შიდა გზები თუ საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალები, მთისა და ბარის ურთიერთობა, დემოგრაფიული და სოციალური პროცესები, უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის საფუძვლები, საქართველოს როლი კავკასიაში და მეზობლებთან მრავალმხრივი ურთიერთობების ასპექტებში, სახელმწიფო და ეკლესია, თბილისის მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიის ისტორიაში, არქეოლოგიისა და წყაროთმცოდნეობის არაერთი პრობლემა და სხვა. ასეთია არასრული ჩამონათვალი იმ საკითხებისა, რომლებიც ჩვენი ერის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. მთავარი კი ისაა, რომ აკად. დავით მუსხელიშვილის კვლევების შედეგად მიღებული არაერთი მეცნიერული დასკვნა სახელმძღვანელო პრინციპებად იქცა საქართველოს ისტორიისა და საისტორიო გეოგრაფიაში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის წვლილი, რომელიც ბატონმა დავითმა საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბების ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლების შესწავლაში შეიტანა. მრავალწლიანი დისციპლინათშორისი კვლევის შედეგად დაიდო უდავო დასკვნა, რომ „ისტორიული საქართველოს ტერიტორია არ იყო მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული სივრცე, შემთხვევით მოქცეული გარკვეული პოლიტიკური ნების გავლენის არეალში. პირუკუ, ეს იყო იმანენტური სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული მრავალსაუკუნოვანი განვითარების კანონზომიერი პოლიტიკური გამოვლენა მოცემულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოში... საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ამავე დროს ქართულ-ეროვნული სახელმწიფოებრივი ტერიტორიაა, ქართველი ხალხის შემოქმედებაა...“

მოტანილ თეორიულ დებულებას მეცნიერმა პრაქტიკული ნაბიჯები მოაყოლა და ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ბატონი დავითის ხელმძღვანელობით მომზადდა საქართველოს ატლასის მაკეტი. მისი ავტორები განუხრელად მიჰყვნენ აკად. ივანე ჯავახიშვილის ნაანდერძევს – პოლიტიკური ისტორიის განვითარების პროცესი მაქსიმალური სიზუსტით უნდა აისახოს რუკებზე. მიზეზთა გამო ატლასის გამოცემა თითქმის ოცი წლით გადაიდო. დღეს ხელთა გვაქვს ამ უმნიშვნელოვანესი ნაშრომის როგორც პირველი, ისე მეორე (შევსებული) გამოცემა, ხოლო, რაც ფრიად სასიხარულოა, სულ ახლახანს ატლასის ინგლისურენოვანი ვერსიაც დაიბეჭდა. გაკეთდა საშვილიშვილო, დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმე – პირველწყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით წარმოდგენილია ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ტერიტორიის პოლიტიკური ცვლილებების პროცესი უძველესი დროიდან დღევანდლამდე. ეს არის არგუმენტირებული და მტკიცე პასუხი ყველასთვის, ვისაც თვალი უჭირავს საქართველოს მიწა-წყალზე, რაც დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი სამშობლოს ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემატიკის სწორ გააზრებას უცხოეთში.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ამავე დროს ქართულ-ეროვნული სახელმწიფოებრივი ტერიტორიაა!

ბატონი დავითი ყოველთვის შეურიგებელი იყო და არის ყველას მიმართ, ვინც სიტყვით თუ საქმით ეწინააღმდეგება ქართველი ერის სუვერენულ უფლებას – აშენოს ეროვნული სახელმწიფო. ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის არ არსებობს „ავტორიტეტი“ (იქნება ეს პოლიტიკოსი, უფლებადამცველი, შინაური თუ უცხოელი ვაიმეცნიერი, ჟურნალისტი და ა.შ.), რომელიც ხელყოფს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ტერიტორიას. მეცნიერი ღრმა ეროვნული ღირსების გრძნობითა და სწავლულისათვის დამახასიათებელი ტაქტით დაუნდობლად ამხელს მათ უმეცრებასა და პოლიტიკურ ზრახვებს.

დავით მუსხელიშვილი მუდმივად შთააგონებს საზოგადოებას, რომ ქართული სახელმწიფოებრივი ტერიტორია ისეთივე წმინდათაწმინდაა, როგორც მშობლიური ენა და მას თვალისჩინივით მოვლა-პატრონობა სჭირდება. ეს შეგონებაა როგორც ქვეყნის მესვეურთათვის, ისე, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისათვის. ერი რომ „სხვის ხელში სათამაშო, უსახურ ბრბოდ“ არ იქცეს, ღვაწლმოსილი მეცნიერი ხელისუფალთაგან სრულიად სამართლიანად მოითხოვს საქართველოს ისტორიისა და ქართველოლოგიური მეცნიერების სხვა დარგების განვითარებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, უპრეცედენტო ზრუნვასა და ხელშეწყობას, მომავალი თაობებისათვის ეროვნული სულისკვეთების გაღვივებასა და განმტკიცებას. ძნელია და ალბათ შეუძლებელიც, არ გაიზიარო ეს უთუო ჭეშმარიტება!

ხასიათის კიდევ ერთი თვისება, რომელიც ბატონი დავითის პიროვნებას გამოარჩევს. ერთი შეხედვით თითქოს პირქუში და მკაცრი მოყვასისადმი საოცარი სიყვარულითა და ერთგულებით გამოირჩევა. ეს ადამიანური ღირსებები კარგად წარმოჩინდა ამ ოცოდე წლის წინ, როცა განათლებისა და მეცნიერების სფეროს „რეფორმების“ ქარბორბალამ გადაუარა. მაშინ ქართველ ისტორიკოსთა და ეთნოლოგთა დიდმა ჯგუფმა, რომელიც ჩვეულ საქმიანობას იძულებით ჩამოაშორეს, სწორედ ბატონი დავითის თაოსნობით დაფუძნებულ არასამთავრობო სამეცნიერო დაწესებულებაში მოიყარა თავი და იქ გააგრძელა მუშაობა. ბევრისთვის ეს სულიერი და ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გზა იყო...

ბატონი დავითის ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მისი რედაქციითა და თანაავტორობით გამოცემული ნაშრომები „საქართველოს ისტორიის ატლასი“ (თბ., 2003), „საქართველოს ისტორია ტოპონიმიკაში“ (თბ., 2010), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის პრემიებით დააჯილდოვა; იგი ივ. ჯავახიშვილის მედლისა და ღირსების ორდენის კავალერია; 2013 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საისტორიო მეცნიერების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის დავით მუსხელიშვილს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი გადასცა.

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი კოლეგებისა და მოწაფეების დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. თავისი მეცნიერული მოღვაწეობითა და კაცურად გავლილი ცხოვრებით ის ვალმოხდილი და წელგამართული ხვდება თავის 95-ე დაბადების დღეს. ღმერთმა დიდი დღე მისცეს ამ არაჩვეულებრივ სწავლულსა და მომავალი თაობებისათვის მისაბაძ პიროვნებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

გა, თანმხლები გართულება, სიკვდილის უშუალო მიზეზი;

– ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და მათი განვითარების ხელშეწყობა.

ცხადია, რომ ყოველივე ზემოთაღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საკმაო რაოდენობა, თუმცა კი სათანადო კადრების მხრივ არსებობს გარკვეული პრობლემები, რომელთა დასაძლევად, კერძოდ, საჭიროა:

– კლინიკური რეზიდენტურა – მომზადება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო დაფინანსებით (დღესდღეობით, მომზადება კლინიკური რეზიდენტურაში, ფასიანია);

აუცილებელია ჩამოყალიბდეს სულ მცირე ერთწლიანი გადამზადების ეგრეთ წოდებული კურსები ქვესპეციალობებში, რისთვისაც მიზანშეწონილია ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნას შესაბამისი სისტემა, რაც საშუალებას მისცემს ახალგაზრდა სპეციალაისტებს სტაჟირება გაიარონ უცხოეთის პროფილურ, ვიწროსპეციალიზებულ ლაბორატორიებში;

– სტომატოლოგებს უნდა მიეცეთ კლინიკურ რეზიდენტურაში „პათოლოგიური ანატომიის (კლინიკური პათოლოგიის)“ მომზადების უფლება;

– პათოლოგანატომებს უნდა განესაზღვროთ ფიქსირებული ხელფასი (მართლაც პარადოქსია – ახალგაზრდა სპეციალისტი მომზადების სამწლიან გეგმაში თვითონ იხდის სწავლების საფასურს, ხოლო როცა ამთავრებს და სპეციალობით იწყებს მუშაობას, მას ფიქსირებული ხელფასიც კი არ აქვს).

სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას პათოლოგიური ანატომიის სწავლების ფარგლებში მიუძღვნა თავისი მოხსენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა რამაზ ჩიხლაძემ.

– მან აღნიშნა, რომ პათოლოგიური ანატომიის სწავლებისათვის საჭიროა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები და სალექციოები. ეს უკანასკნელი დღეისათვის მხოლოდ სამედიცინო უნივერსიტეტშია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ საგანს ასწავლიდეს მაღალკვალიფიციური, სათანადო გამოცდილების პროფესიონალი, რომელიც ზედმიწევნით კარგად ფლობს ყველა პროფესიულ უნარ-ჩვევას და შეუძლია ახალგაზრდებში აღძრას ინტერესი ამ ურთულესი, ფუნდამენტური საგნის შესწავლისათვის.

სხდომას ესწრებოდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, დეპარტამენტის უფროსი **თეა ბახტაძე,** რომელმაც, მომხსენებლებთან ერთად, საბჭოს წევრების, პროფსორების ზურაბ ქევანიშვილის, ბეჟან წინამძღვრიშვილის, რამაზ ყურაშვილის, ზაზა ავალიანის, ელზა ვაშაკიძისა და გიორგი ძიძავას კითხვებს უპასუხა, რომლებიც უცხოეთის კლინიკებში პათოლოგიურ ანატომიაში დღესდღეობით მიღებულ პრაქტიკას, კლინიკურ და პათანატომიური ტერმინოლოგიურ შესაბამისობისა და ზოგიერთ სხვა საკითხებს ეხებოდა.

შეაჯამა რა ინფორმაციითა და პროფესიონალთა მაღალკვალიფიციური გამოსვლებით ძალზედ მდიდარი, დატვირთული სხდომა – აკადემიკოსმა რამაზ ხეცურიანმა იმედი გამოთქვა, რომ უმოკლეს დროში ეროვნული აკადემიის მედიცინისა და ფიზიოლოგიის განყოფილება მოამზადებს დოკუმენტს (რეკომენდაციებს), რომელიც დროულად მიეწოდება საქართველოს მთავრობას, ჯანმრთელობისა და განათლების სამინისტროებს და მაქსიმალურად ეცდება შემუშავებული რეკომენდაციები დროულად დაინერგოს პრაქტიკაში, რაც თავისთავად მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც მკურნალობის ხარისხს, ასევე დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მაღალკვალიფიციური, პროფესიული კადრების მომზადების გზაზე.

მოამზადა

ოთარ ტურაბელიძემ

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა რჯულისაა მსხვერპლი...

დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის საზოგადოება შოკირებულია იმით თუ როგორ შეხვდა ისრაელის ტრაგიკულ ამბებს დასავლეთში მცხოვრებ მიგრანტთა ნაწილი, ზოგიერთი ლიბერალი პოლიტიკოსი და არასამთავრობო ორგანიზაცია.

მაშინ, როდესაც მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ მიუსამძიმრა და გვერდით დგომა აღუთქვა ისრაელს, დასავლეთის მოსახლეობის ეს ნაწილი ამ ამბებს სიხარულით შეხვდა: საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში პრო-პალესტინური მიტინგები გაიმართა; თურქებისა და არაბების კუთვნილი კაფე-რესტორნები ბერლინში, უფასოდ გაუმასპინძლდა სტუმრებს ტკბილეულით; ქუჩებში მხიარული ანტი-სემიტური შეძახილები ისმოდა; ახალგაზრდები ფეიერვერკებს უშვებდნენ. მოსახლეობის უმრავლესობა მდუმარე გაოცებითა და შიშით უყურებდა ამ სცენებს. ჩუმად იმიტომ, რომ, ვინც ხმა ამოიღო, ლიბერალ-რადიკალებმა ჩააწყვეტინეს ენა.

ბევრს გაახსენდა 11 სექტემბრის ტრაგედია. მაშინაც, ევროპის ქუჩებში, საზოგადოების რაღაც ნაწილი, სიხარულით შეხვდა იმ საშინელებას. გერმანელი საზოგადოება ისეა შეძრწუნებული, რომ ულტრა-მემარჯვენეებმაც კი, პრო-პუტინისტებს რომ უწოდებენ, კატეგორიულად დაგმეს ეს საქციელი.

ევროპის კონსერვატიულმა საზოგადოებამ ლიბერალებსა და ბრიუსელს შეახსენა, რომ მათი ქებული მულტიკულტურალიზმი არ მუშაობს. მიგრანტები აფრიკიდან, ახლო-აღმოსავლეთიდან და თურქეთიდან ვერ და არ ერწყმიან დასავლეთის საზოგადოებას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რელიგია აქ არაფერ შუაშია. მაგალითად, მუსლიმი ევროპელები, იმიგრანტები პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებიდან და ინდუსები მშვენივრად ეწერებიან დასავლეთის საზოგადოებაში. მოვლენის მიმართ არაერთგვაროვანმა რეაქციამ დიდი დავა გამოიწვია დემოკრატიულ პარტიაში. ამერიკის კონგრესის ექვსმა დემოკრატმა წევრმა პალესტინას და ჰამასს დაუჭირა მხარი, აქედან, ხუთი, აფრიკიდან და ერთი ახლო აღმოსავლეთიდანაა.

ეს ამბავი იქამდე მივიდა, რომ დემოკრატიული პარტიის ბევრმა წევრმა პრეზიდენტ ბაიდენს ამ პოლიტიკოსების ანტი-სემიტურ გამოხტომებზე რეაგირება სთხოვა.

საფრანგეთისა და გერმანიის ინტელექტუალურმა საზოგადოებამ პრო-პალესტინურ მოსახლეობას ასე მიმართა: შეიძლება, ისრაელი ბევრ რამეში ცდებოდეს და არასწორად იქცეოდეს, მაგრამ, როცა მშვიდობიან მოსახლეობას ასე სასტიკად უსწორდებიან, მნიშვნელობა არ აქვს, რა რჯულისაა მსხვერპლი. ეს, ყველა გაგებით, ანტი-ჰუმანური და არაცივილიზებული საქციელია, და ვინც ამ ამბავს მხურვალე ტაშით შეხვდა, თავად უფრო ბოროტი ფარისეველია.

ისინი დასავლურ საზოგადოებაში ცხოვრობენ, ყოველგვარ სიკეთეს იღებენ აქ, მაგრამ, გულის-გულში ვერ იტანენ ამ საზოგადოებას, თან, იმიტომ კი არა, რომ სხვა რწმენისა და ეროვნებისა არიან, არამედ შურითა და ზიზღით არიან გამსჭვალული, რადგან თავად არ არიან წარმატებული ადამიანები. ეს სიტყვები მე არ მეკუთვნის, მხოლოდ ციტატის ნაწილია.

ირანი ისრაელს აფრთხილებს!

„წინააღმდეგობის ღერძის მხრიდან პრევენციული ზომების შესაძლებლობა მოსალოდნელია უახლოეს საათებში“, – განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანმა სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში.

მანამდე, ამირ-აბდოლაჰიანმა განაცხადა, რომ „წინააღმდეგობის ლიდერები“ არ დაუშვებენ, რომ ისრაელმა ღაზაში აკეთოს, რაც სურს. ისრაელსა და „ჰამასს“ შორის საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, თეირანმა არაერთხელ განაცხადა, რომ ღაზას სექტორში სახმელეთო ოპერაციას სხვა ფრონტებიდან რეაგირება მოჰყვება. აღსანიშნავია, რომ შაბათს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ისლამისტური მოძრაობა „ჰეზბოლას“ ლიდერს ჰასან ნასრალას შეხვდა.

კანადა მხარს უჭერს ისრაელის უფლებას, დაიცვას თავი...

კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრუდო ისრაელს ღაზას სექტორში ჰუმანიტარული დერეფნის გახსნისკენ მოუწოდებს.

„კანადა მხარს უჭერს ისრაელის უფლებას, დაიცვას საკუთარი თავი, მაგრამ ომებსაც აქვთ თავისი წესები“, – აღნიშნა ტრუდომ.

მისი თქმით, სასწრაფო დახმარებაა საჭირო 2.3 მილიონი ალყაში მოქცეული ადამიანის დასახმარებლად.

„ვერაფერი გაამართლებს „ჰამასის“ ტერორისტულ აქტებს. „ჰამასი“ არ წარმოადგენს პალესტინელ ხალხს და არც მათ ლეგიტიმურ მისწრაფებებს“, – განაცხადა კანადის პრემიერმა.

პირველი ვიდეო ისრაელელი მძევლის მონაწილეობით

„ჰამასმა“ ისრაელელი მძევლის მონაწილეობით პირველი ვიდეო გამოაქვეყნა. ვიდეოში ნაჩვენებია, რომ ახალგაზრდა ქალს ხელზე სახვევს უკეთებენ. ამის შემდეგ ქალი ამბობს, რომ ის არის 21 წლის მია შემი და ახლა ღაზაში იმყოფება.

The Times of Israel-ის ინფორმაციით, მია შემი „ჰამასის“ მებრძოლებმა ღაზის სექტორის საზღვართან მიმდინარე მუსიკალური ფესტივალიდან გაიტაცეს. მათივე ცნობით, მია შემს ისრაელისა და საფრანგეთის ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ქალის მეგობრებმა და ნათესავებმა დაადასტურეს, რომ ვიდეოში ნამდვილად მია შემია. მია შემი ასევე ჰყვება, რომ მას 3-საათიანი ოპერაცია ჩაუტარდა და ახლა ის აუცილებელ მედიკამენტებს იღებს.

„გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად დამაბრუნოთ სახლში, ჩემს ოჯახთან, მშობლებთან, ძმებთან და დებთან“, – ამბობს ვიდეოში მია შემი.



ედი-რამას აღორძინებული ალბანეთი...

ალბანეთი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ძირძველი ევროპული ქვეყანაა, რომელსაც, ისტორიულად, არასოდეს არ გამოლევია დამპყრობი. იყო დრო, როცა რომის იმპერიის ნაწილი იყო. XV საუკუნის შუახანებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე, ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა, რომლის ფარგლებში, ალბანელმა ხალხმა მძლავრი ასიმილაცია განიცადა, ანუ მისი დიდი ნაწილი გამუსლიმანდა. ნაწილი სხვაგან გადასახლდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც ისლამთან დაახლოების წყალობით კარიერა გაიკეთა, მათ შორის, რამდენიმე კაცმა მთავარ ვეზირობასაც მიაღწია სულთნის კარზე.

XIX საუკუნეში, ეგვიპტის მმართველი ალბანელი მუჰამედ-ალი-ფაშა იყო. ზოგიერთი ისტორიკოსი ქემალ-ათა-თურქსაც ალბანელად თვლის. 1912 წლის 28 ნოემბერს, ალბანეთმა ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მეორე მსოფლიო ომის დროს, ჯერ, იტალიამ დაიპყრო, შემდეგ კი, გერმანიამ. 1946 წელს, ენვერ-ჰოჯას მეთაურობით, ალბანეთში კომუნისტური წყობა დამყარდა, მაგრამ მის ლიდერს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან კონფლიქტი ჰქონდა.

ალბანეთი იზოლაციონისტურ პოლიტიკას დაადგა, ვარშავის პაქტიდან გავიდა და მხოლოდ რუმინეთთან დარჩა მეგობრულ ურთიერთობაში. გორბაჩოვისეული პერესტროიკისა და რუმინეთის დემოკრატიზაციის შემდეგ, ალბანეთმაც დაიწყო დემოკრატიის მშენებლობა. 2009 წელს, ალბანეთი ნატოს წევრი გახდა. 2014 წლიდან, ევროკავშირის წევრობის კანდიდატია. და მაინც, ალბანეთი, დღემდე, ევროპის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად მოიაზრება. ალბანეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომლის მეთაური 59 წლის პრემიერ-მინისტრი, ედი-რამა გახლავთ.

იგი ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში, ცნობილი მოქანდაკის, კრისტაკ-რამას ოჯახში დაიბადა. სკოლაში, კალათბურთით იყო გატაცებული. ტირანას დინამოშიც თამაშობდა და ქვეყნის ნაკრების წევრიც იყო. ბავშვობიდან, ხელოვნებას ეტრფოდა და ალბანეთის სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა, რომლის დამთავრების შემდეგ, სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თავისივე Alma Mater-ში, სადაც საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ედი-რამა, ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი კრიტიკული აზროვნებით. ქვეყნის მომავალზე, თავის სტუდენტებთან ერთად, ხშირად აწყობდა ხოლმე სადისკუსიო სემინარებს. 1994 წელს, საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც, თავის მოწაფეებთან ერთად, არაერთი სამხატვრო გამოფენა მოაწყო. 1997 წელს, ედი-რამას ერთი არასასიამოვნო ამბავი შეემთხვა საკუთარ სამშობლოში: ტირანაში ხანმოკლედ ჩამოსულს, უცნობი ადამიანები დაესხნენ თავს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. პოლიციამ დამნაშავეები ვერ ან არ იპოვა.

ედი-რამას აზრით, ისინი ალბანეთის უშიშროების თანამშრომლები იყვნენ. ამ ინციდენტიდან ერთი წლის შემდეგ, ედი-რამას მამა გარდაეცვალა და ტირანაში კვლავ ჩავიდა. მამის პანაშვიდებზე, ქვეყნის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ფატოს-ნანო, გაიცნო, რომელსაც ხალხი ალბანეთის გორბაჩოვად მოიხსენიებს... მან ალბანეთის ძველი კომპარტია თანამედროვე დემოკრატიულ პარტიად გარდაქმნა და ალბანეთის სოციალისტური პარტია უწოდა. ფატოს-ნანო სამჯერ იყო ალბანეთის პრემიერ-მინისტრი. ის მუდმივად ეძებდა ახალგაზრდა, ევროპული იდეებით გამსჭვალულ პოლიტიკოსებს. სწორედ ასეთი იყო ედი-რამა, რომელსაც, გაცნობისთანავე, შესთავაზა ადგილი თავის კაბინეტში. ედი-რამა კულტურისა და სპორტის მინისტრი გახდა. იგი მინისტრობის პირველივე დღიდან გახდა ცნობილი, რაც მხოლოდ მის ექსტრავაგანტული ჩაცმულობას არ უნდა მივაწეროთ.

მან ძველ, ჩამყაყებულ კულტურის სამინისტროში, მოდერნისტული ევროპული სტილი შეიტანა. 2000 წელს, ედი-რამამ, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, ტირანას მერის არჩევნები მოიგო და ეს თანამდებობა 2011 წლამდე შეინარჩუნა. მან, მეროობის პირველივე დღიდან, სცადა დედაქალაქის იერის შეცვლა, გდაწყვიტა რა, ძველი კომუნისტური ურბანული არქიტექტურის ახალი მოდერნისტული არქიტექტურით შეცვლა. სწორედ, მისი მეროობის დროს გამოჩნდა ქალაქში ბევრი თანამედროვე ნაგებობა, მწვანე პარკები, შეიქმნა ახალი ინფრასტრუქტურა, შენობები ლამაზ ფერებში შეიღება.

2004 წელს, ედი-რამა მსოფლიოს საუკეთესო მერის ტიტულით დაჯილდოვდა. 2003 წელს, რამა ალბანეთის სოციალისტურ პარტიაში გაწევრიანდა. 2005 წელს, სოციალისტურმა პარტიამ, საპარლამენტო არჩევნები წააგო, რის გამოც ფატოს-ნანო პარტიის ლიდერის პოსტიდან გადადგა. იმავე წელს, პარტიამ ედი-რამა აირჩია ლიდერად. მან შეძლო მემარცხენეთა ძალების გაერთიანება და საპარლამენტო არჩევნებიც მოიგო. მისი საარჩევნო კამპანიის მოწოდება იყო „წინ ევროპისაკენ“!. პარტიის პროგრამა ოთხ მთავარ რეფორმას მოიცავდა: ევროპული ინტეგრაცია, ეკონომიკური აღორძინება, სოციალური წესრიგის აღდგენა და სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიზაცია. 2013 წლის სექტემბერში, ედი-რამა ალბანეთის 33-ე პრემიერ-მინისტრი გახდა.

მან ბევრი ლიბერალურ-ეკონომიკური რეფორმა გაატარა, მკვეთრად შეამცირა სახელმწიფო სექტორი და ხელი შეუწყო პრივატიზაციას, განავითარა ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, განათლება და ჯანდაცვა, გაატარა სასამართლოს რეფორმა, რომელიც ევროპის ყველაზე კორუმპირებულ სასამართლოდ ითვლებოდა. საგარეო საქმეებში, ედი-რამა გამოირჩევა, როგორც პრო-დასავლური და ანტი-რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი. რამდენიმე კვირის წინ, გაეროს უშიშროების საბჭოზე, მას კამათი მოუვიდა რუსეთის ელჩთან. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ვოლოდიმირ ზელენსკი. რუსეთის ელჩმა მისი გამოსვლა მწვავედ გააპროტესტა. ედი-რამამ, როგორც იმ სხდომის თავჯდომარემ, ლაკონურად გააჩუმა რუსეთის ელჩი. ედი-რამა ძალიან დაუახლოვდა თურქეთის პრეზიდენტს, განიხილავს რა თურქეთს, როგორც ალბანეთის მთავარ მოკავშირეს. ერდოღანიც თავს მის მეგობრად თვლის. 2016 წელს, თურქეთის ლიდერმა ალბანელი კოლეგა ქალიშვილის ქორწილში პირადად დაპატიჟა.

ედი-რამა მესამე ქორწინებაშია. ქვეყნის პირველი ლედი ცნობილი ეკონომისტი ლინდა ბაშაა. რამას ორი ვაჟი ჰყავს, ერთი, პირველი ცოლიდან და მეორე, ბოლო ქორწინებიდან. 2019 წლის მიწისძვრის დროს, მას რძალი დაეღუპა. ედი-რამას ოჯახში სრული რელიგიური ლიბერალიზმი სუფევს. ასე ამბობს, მე კათოლიკე ვარ, ჩემი ცოლი მუსლიმი, ბიჭები მართლმადიდებლები არიან, და რომელიმეს, თუ მოუნდება, შეუძლია, ებრაელად მოინათლოს. ედი-რამამ თავი აგნოსტიკოსად გამოაცხადა და თქვა, ღმერთი თუ არსებობს, რომ მოვკვდები, მერე გავიგებო...

ნუგზარ. ბ. რუხაძე
POSTV



სევდიან-დაღვრემილი წიგნი

„საქართველოა ფიროსმანი“

ახლახან გამოვიდა ცნობილი მხატვრისა და „კოსმიური“ გაქანების მწერალ-პუბლიცისტის რეზო ადამიას წიგნი „საქართველოა ფიროსმანი“.

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბაში საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით. წიგნის ავტორი გულწრფელ მადლობას უხდის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს როინ მეტრეველს და აკადემიკოს ვალერი ასათიანს წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისა და კრებულის წინათქმაში გამჟღავნებული უაღრესად საგულისყურო მოსაზრებების გამო.

წიგნის რედაქტორია ჩვენი სახელოვანი პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, რომლის წინასიტყვაობასაც სიამოვნებით ვთავაზობთ ჩვენს ერთგულ მკითხველს.

ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი სოფელ მირზაანში. ფერწერული ტილო. ავტორი რეზო ადამია.

ახალი სიტყვა დიდ ფიროსმანზე

რეზო ადამიამ თავის უმშვენიერეს ფერწერულ ტილოებთან ერთად, არაერთი საინტერესო წიგნი უძღვნა ხელოვნების ჭეშმარიტ შემფასებლებსა და თაყვანისმცემლებს.

მისი ნაწარმოების გმირები კი, ის დიდი ქართველი ხელოვანებია, ვისი შემოქმედებაც მსოფლიო კულტურის საგანძურს ამშვენებს: ნიკოლოზ მარათაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი. ახლა კი, ამ ახალი წიგნის შექმნისას, მარადისობიდან დიდი ნიკო ფიროსმანის სული გამოიხმო, როგორც თავად ბატონი რეზო ბრძანებს: „აქ ამ თავისებურ ნაწარმოებში, მე საგანგებოდ არ ვიხილავ, აღვწერ და ვარჩევ, არც ერთ მისეულ სურათ-შედევრს, და, ჩემი, როგორც ავტორის სრულიად დამოუკიდებელი თემატურ-იდეურად განსხვავებული ფაბულათა მიდგომაა და გულმართალი მცდელობებია, ავხსნა – განვიხილო, დავასურათო ის ურთულესი შეგონებითი ზეციური განგება, თუ სივრცობრივ უმდიდრესი იდუმალებათა ფორმები, რითაც შემოქმედებითად უწმინდეს უხილაობამ გამოკვება დიდი ფიროსმანის ნებისმიერი ფერწერული ნაშობ სურათი“.

ნიკო ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე არაერთი პოეტური, თუ პროზაული ნაწარმოებია შექმნილი, შეიძლება ითქვას, ისე უხვად, ისე თაყვანისცემით, ისეთი სიყვარულითა და სევდით, სხვა არც ერთ ქართველ არტისტზე რომ არ დაუწერიათ.

რეზო ადამიას წიგნი „საქართველოა ფიროსმანი“ ახალი სიტყვაა დიდ ხელოვანზე. მწერალი ლამარტენის სიტყვებს შეგვახსენებთ: „ადამიანი არის ჩამოვარდნილი ღმერთი, რომელსაც ახსოვს ზეცა“.

დიახ, ზეციური, კოსმიური გონით ცდილობს ავტორი ფიროსმანის სულიერი პორტრეტის დახატვას: „ნიკო ფიროსმანაშვილი უდიდესი ეროვნული სულიერ-დაღვრემილი ნაწარმოები“, ნაწარმოები, რომელსაც უფლის თვალი დასტრიალებს. კეთილი იყოს წამკითხველო, თქვენი ამ წიგნთან მიახლოება.

მაყვალა გონაშვილი,
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

„...აკი, თავადვე მხატვარი ალიარებდა: წმიდა გიორგი მაზის ფუნჯის წვერზე და მუდამ მქადაგებს, ხატე, ნიკალა, ხატე! და სრული შეწირულ აღსრულებით იხატებოდა კიდევაც ფერწერული საკვირველი სიახლე შედევრები...

რ. ადამია

შეყვარებულთა გულებიც გაქვირდა!

რა ღირს ქორწილი საქართველოში?

დღეს საქართველოში საქორწინო ცერემონიისთვის საჭირო ძირითადი ატრიბუტიკა – ნიშნობის ბეჭდები, პატარძლის კაბა, საქორწინო ვარცხნილობა და მაკიაჟი, ტორტი, ხელმოწერის ცერემონია, ფოტოგრაფი და 100 კაციანი სუფრა რესტორანში საშუალოდ 17000 ლარი ჯდება. ყველა საჭირო პროდუქტის თუ მომსახურების გაძვირების გათვალისწინებით, ქორწილის ფასი წინა წელთან შედარებით მინიმუმ 12-15%-ით გაიზარდა.

საქორწინო კაბა და მამაკაცის კოსტიუმი – 1400 ლარიდან

საქორწინო კაბების ფასი სტილის, დიზაინის, ბრენდისა და ქსოვილის მიხედვით განსხვავდება და მისი ყიდვის შემთხვევაში საქართველოში არსებულ საქორწინო სალონებში მინიმალური ფასი 1000 ლარია, რაც შეეხება კაბის ქირაობას, ღირებულება 400 ლარიდან იწყება.

საქორწინო კაბების ცნობილ მაღაზიებში, რომლებიც პატარძალს ექსკლუზიურ მოდელებს სთავაზობენ, ფასები 2500 ლარიდან იწყება. მაღაზია „მარიონელაში“ აცხადებენ, რომ კაბების გაქირავების საშუალო ფასი 1500-2000 ლარის ფარგლებშია, ყიდვის შემთხვევაში კი ფასები გაორმაგებულია. მათივე განმარტებით, საქართველოში უპირატესობას კაბების ქირაობას ანიჭებენ, ყიდვის მსურველი კი მხოლოდ 2%-ია. მამაკაცის საქორწინო კოსტიუმის ფასი კი საშუალოდ 400-500 ლარია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქორწინო ჩაცმულობის ფასი მინიმალურად, 10-12%-ით გაიზარდა.

ვარცხნილობა, მაკიაჟი, ყვავილები – 210 ლარიდან

სილამაზის სალონები ყველა შესაძლებლობის მქონე პატარძალს სთავაზობენ მომსახურებას. მაგალითად სილამაზის სალონ T.M.Beauty Center-ში საქორწინო ვარცხნილობა და მაკიაჟი 120 ლარიდან იწყება, რაც შეეხება სილამაზის სალონ keune-ს, აქ ვარცხნილობა 150 ლარიდან, ხოლო მაკიაჟი 120 ლარიდან იწყება. სალონების უმრავლესობამ ბოლო წელიწად-ნახევარში ფასები 20%-მდე გაზარდა, მათი თქმით, თმის მოვლის საშუალებების დიდი ნაწილი რუსეთიდან და უკრაინიდან შემოდიოდა, სწორედ ეს გახდა მომსახურების გაძვირების მთავარი მიზეზი.

რაც შეეხება თაიგულს, Flowers.ge მომხმარებელს სტანდარტულ თაიგულს 80 ლარიდან სთავაზობს, საქორწილო თაიგულის ფასი კი მინიმუმ ორმაგია. ონლაინ მაღაზია NINA'SH ART-ში კი საქორწილო თაიგულის ფასი 100 ლარიდან იწყება. ყვავილების ბიზნესზე რუსეთ-უკრაინის ომის გამო ტრანსპორტირებისა და ლოჯისტიკური ხარჯების ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და რეალიზატორებისთვის ხარჯების მატება განაპირობა, შესაბამისად ფასები 2022 წლის შემდეგ 15-20%–ით გაიზარდა.

საქორწინო ბეჭდები – ორი ცალი 2500 ლარიდან

„ოქროს გირჟის“ ოქროს და ბრილიანტის ექსპერტ-შემფასებელი გულიკო მორჩილაძე ამბობს, რომ ოქროს ნაკეთობის ფასი 120 ლარიდან იწყება.

ნაკეთობის ფასი სინჯის მიხედვით გამოითვლება, 585 სინჯი 120-დან 140-ლარამდე მერყეობს, 750 სინჯი 160-დან 190 ლარამდეა, 958 სინჯი კი 190 ლარიდან. მისი თქმით, ფასები წინა წელთან შედარებით დაახლოებით 10-15%-ით არის მომატებული.

100-კაციანი სუფრა რესტორანში, გაფორმება, ტორტი – 11700 ლარიდან

რესტორნებში მრავალფეროვანი არჩევანია, შესაბამისად, განსხვავდება ფასები, მომსახურება, ხარისხი და გაფორმებაც. ერთი სტუმრის ფასი 100 ლარიდან იწყება, რესტორნის მინიმალური გაფორმება და საპატარძლო სუფრა კი დაახლოებით 1000 ლარი ღირს. რესტორნებში ფასები წინა წელთან შედარებით საშუალოდ 10%-ით არის მომატებული.

რაც შეეხება ტორტს, 100-ნაჭრიანი საქორწილო ტორტის ფასი, მინიმალური გაფორმებით საშუალოდ 700 ლარია, დაახლოებით ამ ფასიდან იწყება ქორწილის ერთ-ერთი მთავარი პროდუქტის ფასი საკონდიტრო „ბელაში“.

რაც შეეხება ფასების გაძვირებას, კონდიტერების უმრავლესობა ამბობს, რომ ფასები წინა წელთან შედარებით საშუალოდ 20%–ით არის გაზრდილი, რაც ინგრედიენტების გაძვირებამ განაპირობა.

ხელმოწერის ცერემონია – 75 ლარიდან

იუსტიციის სახლში ქორწინების რეგისტრაცია უფასოა, თუმცა თუ წყვილს დამატებითი სარიტუალო მომსახურება ან შენობის გარეთ ხელმოწერა სურთ, ამ შემთხვევაში ფასი 75 ლარიდან 225 ლარამდე მერყეობს.

ფასი წინა წლის აგვისტოსთან შედარებით 50%-ით გაიზარდა.

ფოტო-ვიდეოგადაღება – 1800 ლარი

ქორწილზე ფოტოსესიის და ვიდეოგადაღების ფასიც განსხვავებულია, მაგალითად videostudia.ge-ს ეს მომსახურებას მთელი დღის განმავლობაში 1800 ლარად აქვს. ფასი წინა წელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა.

„საქსტატის“ ინფორმაციით, რომელიც ყოველთვიურად აქვეყნებს სამომხმარებლო ფასებს 308 პროდუქტზე, ქორწილისთვის საჭირო პროდუქციის ფასები 2023 წლის სექტემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემდეგნაირად შეიცვალა:

კაბა – გაძვირდა თითქმის 9%-ით;
მამაკაცის კოსტიუმი – გაძვირდა თითქმის 10%-ით;
სადილი რესტორანში – გაძვირდა 9.5%-ით;
ქალის თმის დავარცხნა – გაძვირდა 10.4%-ით;
მამაკაცის თმის შეჭრა – გაძვირდა თითქმის 12%-ით;
ნამცხვარი – გაძვირდა 9%-ით;
ქორწინების 958 სინჯის ოქროს ბეჭედი – გაძვირდა 2%-ით.

ქორწინების რეგისტრაცია – მომსახურების ფასი 2022 წლის აგვისტოში გაძვირდა, მანამდე კი მისი ფასი 50-დან – 170 ლარამდე მერყეობდა.

◎ მწვრთნელი

შედეგის თანახმად

ლევან მაისაშვილმა საკუთარი კალო შარშან იტალიასთან და უელსთან მისი თავკაცობით გორჯღალოსანთა მიერ მოპოვებული ისტორიული გამარჯვებებით უკვე გალეწა და დროა თავაწეული წავიდესო – ამტკიცებდა ტელეეთერში ქართულ სპორტში ჭიპმოჭრილი ერთი ექსპერტი.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ახალგაზრდა მწვრთნელმა რამდენიმეთვიან უთანასწორო ბრძოლაში ვერაგი კოვიდვირუსი დაამარცხა, ამიტომ დასახელებული სპეციალისტისგან ზემოთგამოთქმული რჩევა მეტისმეტად მკაცრად მივიჩნიე. თურმე, იგი წინ იყურებოდა და კარგად აცნობიერებდა, რომ აღმართს დაღმართი მოსდევს.

ალბათ, მიხვდით, რომ საუბარია საფრანგეთში ჯერაც მიმდინარე მსოფლიო თასზე საქართველოს ეროვნული სარაგბო ნაკრების მიერ ჯგუფში დაკავებულ ბოლო ადგილზე, თანაც თამაშის მოუგებლად და გუნდის დამრიგებლის ცოტაოდენ დაგვიანებულ გადადგომაზე როგორც ნაკრების, ისე პირველი ქართული ფრანჩაიზის – შავი ლომის მესაჭეობიდან.

როგორც უკვე ირკვევა, ბატონი ლევანის ოთხწლიანი მოღვაწეობის დასრულება სრკ-ის აღმასკომის სხდომაზე გადაწყვეტილა იმ არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო, რომელიც გუნდმა საფრანგეთში აჩვენა, მისი შემცვლელის ვინაობა კი ჯერ უცნობია.

ამასობაში გამოვლინდა უმნიშვნელოვანესი ფორუმის კიდევ ორი ნახევარფინალისტი.

ინგლისი – ფიჯი 30:24

რაგბის სამშობლო ფარელმა იხსნა, რომელმაც ბოლო წუთებზე ჯერ არეკნით დააწინაურა პარტნიორები, ხოლო შემდეგ საჯარიმო დაარტყა ზუსტად. არადა, მანამდე კუნძულელებმა ზედიზედ ორი ლელოთი თითქმის უიმედო ჩამორჩენა აღმოფხვრეს – 24:24.

საფრანგეთი – სამხრეთ აფრიკა 28:29

წინა დღეს გამართული ახალი ზელანდია – ირლანდიის ომის მსგავსად, ამ წყვილის ჯახიც ნაადრევ ფინალად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მიუხედავად თავიდან საიმედოდ განვითარებული მოვლენებისა, შესვენების შემდეგ მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა მასპინძლებს თამაში შეუტრიალეს და ისევ უტიტულოდ დატოვეს. ალბათ, საკრალური ფაქტია, რომ ესტებეტმა მოკესთვის ოქროს ლელო მას შემდეგ დადო, რაც ბურთი სამფეროვანთა ახალგამოჯანმრთელებულმა ლიდერმა დიუპონმა დაკარგა, რომელიც სარმიელს ყმა-სახის ჯერაც ბოლომდე მოუშუშებელი უმძიმესი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა.

ასე რომ, დამდეგ უქმეებზე ნახევარფინალში ითამაშებენ: ახალი ზელანდია – არგენტინა და სამხრეთ აფრიკა – ინგლისი. თავადაც მიხვდებით, რომ ევროპელებმა „საკუთარ“ მუნდიალზე ღირსეული შედეგი ვერ აჩვენეს.

◎ ევრო – 2024

პლიუს 3 ქულა და მინუს თურქეთი

უკვე გაუწყეთ, რომ გაისად გერმანიაში გასამართავი ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფური რაუნდის მეექვსე შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უსახური პირველი ტაიმის შემდეგ უიმედო აუტსაიდერ კვიპროსს 4:0 მოუგო (კიტეიშვილი, კვარაცხელია, შენგელია, მიქაუტაძე – პენალტით). დიდი ალბათობით, ვილი სანიოლის გუნდი საბოლოოდ მეოთხე ადგილს დაიკავებს, თუმცა მესამე პოზიციიდან ნორვეგიელთა ჩაჩოჩების მიზერული შანსი ისევ გვრჩება, კუნძულელთა ქართველ თავკაცს თემურ ქეცბაიას კი, სავარაუდოდ, კარისკენ მიუთითებენ ან ახლავე, ან ნოემბერში საკვალიფიკაციო ციკლის დასრულებისთანავე.

რაც შეეხება მომავალი ფორუმის საგზურებს, მათ ვადამდე დაეუფლნენ აღნიშნულ ტურში უქმად მყოფი შოტლანდია და ესპანეთი, რომელმაც ოსლოში გავის გოლით ვიკინგებს სძლია – 1:0.

იმავე დღეს ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთი ფაქტი მოხდა: თურქეთმა შინ ლატვია 4:0 დაჯაბნა, ასევე მოიპოვა გერმანიის საგზური და ავტომატურად გამორიცხა ერთა ლიგის პლეი-ოფში ჯვაროსნებთან ამავე მისიით ბრძოლის ვარიანტი. ასევე გაცხადდა, რომ ყაზახეთის ნაცვლად ლუქსემბურგს ვუმასპინძლებთ, ხოლო უარეს შემთხვევაში – აზერბაიჯანს.

◎ ხუთი რგოლი

ახალი სახეობები

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელმა საბჭომ 2028 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩასართავად ხუთი სახეობა – კრიკეტი, ლაკროსი, სქვოში, ფლაგ-ფუტბოლი და ბეისბოლი/სოფტბოლი დაამტკიცა.

„ეს არის შემოთავაზებული ხუთი სახეობა, რომლებიც სრულად შეესაბამება ამერიკულ სპორტულ კულტურას და რომელიც მსოფლიოს უჩვენებს ამერიკულ საკულტო სპორტის სახეობებს,“ – განაცხადა IOC-ის პრეზიდენტმა თომას ბახმა.

2022 წლის მარტში IOC-მა 2028 წლის ოლიმპიური თამაშების ძირითად პროგრამაში სპორტის 28 სახეობა შეიტანა. მათ შორის არის საწყლოსნო სახეობები, მშვილდოსნობა, მძლეოსნობა, ბადმინტონი, ბალახის ჰოკეი, გოლფი, კალათბურთი, ველოსპორტი, ცხენოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, ხელბურთი, ძიუდო, ნიჩბოსნობა, 7-კაცა რაგბი, აფროსნობა, ტყვიის სროლა, სკეიტბორდინგი, სპორტული ცოცვა, სერფინგი, მაგიდის ჩოგბურთი, ტაეკვონდო, ჩოგბურთი, ტრიატლონი, ფრენბურთი და ჭიდაობა. ძირითადი ოლიმპიური პროგრამიდან დროებით ამოღებული სპორტის ტრადიციული ოლიმპიური სახეობები – ძალოსნობა, კრივი და თანამედროვე ხუთჭიდი, სავარაუდოდ, ასევე შევა ლოს-ანჯელესი-2028-ის პროგრამაში. ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშები ჩატარდება 2028 წლის 14-30 ივლისს.

ამასობაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელი საბჭო 2028 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების საშეჯიბრო პროგრამაში ძალოსნობის ჩართვის წინადადებით გამოვიდა. ამის შესახებ ნათქვამია IOC-ის განცხადებაში:

„IOC-ის აღმასრულებელი საბჭო ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ძალოსნობის ჩართვის რეკომენდაციით გამოდის. IOC ყურადღებით გააგრძელებს თვალყურის დევნებას პარიზი-2024-ის ოლიმპიური თამაშების კვალიფიკაციებისას ანტიდოპინგური პროგრამის ეფექტურობაზე, ასევე ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IWF) მმართველობაში ცვლილების განხორციელებაზე.“

2021 წელს IOC-მა ძალოსნობა 2028 წლის ოლიმპიური თამაშების ძირითად პროგრამაში არ შეიტანა. ორგანიზაციის მაშინდელი განცხადებით, IWF-ში აუცილებელი იყო დოპინგთან ბრძოლაში რეკომენდაციების შესრულება და ანტიდოპინგური სისტემის დამოუკიდებლობის წარმოჩენა.

ორიოდე სიტყვით

ბაბუებზე ხტომა

ვარნა (ბულგარეთი). მსოფლიო თასი, იგივე 2024 წლის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირი. წყვილთა სინქრონული ხტომები.

ბრინჯაო – ანანო აფაქიძე, მარიამ რაგიმოვა.

კალათბურთი

საქართველოს ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასის გათამაშება. თსუ – ბათუმი 107:70. სტუდენტებმა მეორედ მოიპოვეს აღნიშნული ტიტული.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე – კახა ჯინჭარაძე (თსუ) – 49 ქულა(!), 6 მოხსნა,

ინდივიდუალურ ხტომებში სალიცენზიო ქულები დაიმსახურეს ნახევარფინალისტებმა: ლუბა გოლოვინამ (20), აფაქიძემ (13) და რაგიმოვამ (12).

ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელია **ზაურ სულაშვილი**, ხოლო გათამაშებაში მსაჯად იყო მიწვეული მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი **რუსუდან ხოფერია.**

მაგიდის ჩოგბურთი

გათუმი. ახალგაზრდა პრეტენდენტთა მსოფლიო პირველობა.

11-19 წლის 125 მონაწილე გოგონა და ვაჟი 12 ქვეყნიდან. 15-წლამდელთა შერეული წყვილები.

ბრინჯაო – ანასტასია და ნიკოლოზ ჩხარტიშვილები.

5 პასი. მან 13-დან 11 სამქულიანი ჩაგდო.

ფარიკაობა

თბილისი. საერთაშორისო ფედერაციის სატელიტი ტურნირი. 17 ქვეყანა. ხმალი. 34 მონაწილე. ქალები. ვერცხლი – ლიკა ჯიჯეიშვილი. ტრავმის გამო ვაჟებში ვერ იასპარეზა მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა სანდრო ბაზაძემ.

ჩოგბურთი

ჰონკონგი. 250 000-იანი საერთაშორისო ტურნირი. ქალთა წყვილები. **მეორე ადგილი** – ოქსანა კალაშნიკოვა და ალექსანდრა სასნოვიჩი (ბელარუსი, მესამე განთესვა).

ღირსი გრიგოლ ხანძთელი

კლარჯეთის სავანის აღმშენებელი და არქიმანდრიტი

18 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს კლარჯეთის სავანის აღმშენებელს (მის მადლმოსილ მოღვაწეობას დასავლეთ საქართველოშიც, მის მიერ აშენებული უბისის მონასტერი, ვითარცა ნიშან-სვეტი და წინასწარჭვრეტა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებისა) არქიმანდრიტს, ზნეობის დამცველს, მლოცველს, მკურნალს.

...VIII საუკუნეში მურვან ყრუსგან მოოხრებული კლარჯეთი გაუდაბურებული იყო. ამ დროს ქართლიდან კლარჯეთს ჩავიდა ღირსი მამა, დიდგვაროვანთა შვილი – გრიგოლ ხანძთელი. სამღვდელო ხელდასხმის დროს უძლურთა მკურნალმა საღვთო მადლმა უფრო საცნაურ ჰყო წმინდა გრიგოლის პიროვნება. მესხეთში ჩასულმა გრიგოლმა თავის ძმებთან ერთად რამდენიმე წელი დაჰყო. კლარჯეთში – ამ სიცოცხლის მომნიჭებელ ოაზისში თავი მოიყარეს ზენონ სამცხელმა, ეპისკოპოსმა ეპიფანემ, არსენ დიდი საფარელმა, ეფრემ მაწყვერელმა, საბა იშხნელმა...

...გრიგოლ ხანძთელი მკაცრი დამცველი იყო ზნეობისა. მან ამხილა აშოტ კურაპალატი, არ შეეპუა მის მაღალ მდგომარეობას, იცოდა რა, რომ მეფის არასწორი ქმედება დამაბრკოლებელი იყო ერისთვის; **აშოტ კურაპალატმა უდვრტვინველად მიიღო ღირსი მამის საყვედური და სასჯელი, რადგან იცოდა რომ თვითონ წარმავალთა უამთა მეფე იყო, ქრისტე კი, რომელსაც სასოებდა და მსახურებდა ღირსი მამა, იყო საუკუნო მეუფე, სრული, უცვალებელი უუამო, დაუსაბამო მეუფე ანგელოზთა და კაცთა!**

გრიგოლ ხანძთელი 102 წლის ასაკში გარდაიცვალა, ანდერძისამებრ დაასაფლავეს ხანძთის მონასტერში.

გიული ლიპარტია

კიდევ ერთი ახალი საწარმო კახეთში

სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით წითლიძე და USAID-ის ეკონომიკური ზრდის ოფისის დირექტორი მიშელ კოშიელსკი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ახალგახსნილ საწარმოში იმყოფებოდნენ, სადაც ორგანული სასუქის წარმოება დაიწყო, – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოქმედმა შპს „ბიოვიტამ“ ორგანული სასუქის საწარმოს შექმნისათვის 500,000 აშშ დოლარის ინვესტირება მოახდინა. კომპანიამ ისარგებლა სოფლის განვითარების სააგენტოს „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტითა და USAID-ის სოფლის განვითარების პროგრამის გრანტით. საწარმოში, სადაც 1,000 ტონა სასუქი იწარმოება 5 ადამიანია დასაქმებული.

აღსანიშნავია, რომ შპს „ბიოვიტა“ ორგანულ სასუქს საქართველოში მოპოვებული ნედლეულით აწარმოებს და პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახდენს.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დანაშაულში 139 პირი ამხილა

სპეციალური საგამოძიებო სამსახური გაზრდილი უფლებამოსილებით, 2022 წლის პირველი მარტიდან ამოქმედდა. სამსახური საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი ძალადობის, წამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გარდა, მოქალაქეთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის, ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებსაც იძიებს.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე საქმეებზე ამოქმედებიდან დღემდე პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და დანაშაულში მხილებულია 139 პირი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მხილებული 139 პირიდან, 62 – სამართალდამცავია, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არასათანადო მოპყრობისა და ძალადობისთვის დადგა. 65 პირი პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში იქნა მხილებული, 12 პირი კი ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახური მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, დაზარალებულების და განმცხადებლების უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით გამოძიებას აქტიურ რეჟიმში აგრძელებს.

დალი ჯონჯუას არდავიწყება

საქართველოს ჟურნალისტთა რიგებს გამოაკლდა საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ომის ვეტერანი, აფხაზეთის ტელევიზიის ყოფილი რედაქტორი ქალბატონი დალი ჯონჯუა, რომელიც აფხაზეთის ომის დაწყების პირველი დღეებიდან სოხუმის დაცემამდე, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, უშუალოდ ფრონტის ხაზზე გადაღებულ სიუჟეტებს აწვდიდა ტელემაყურებელს, შესაძლებელზე მეტს აკეთებდა იმისთვის, რომ აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ სწორი ინფორმაცია გაევრცელებინა ომის ეპიცენტრში მყოფ ტელევიზიას.

სოხუმის დაცემის შემდეგ აფხაზეთის ტელევიზიამ თბილისში გააგრძელა საქმიანობა. ამ პერიოდში დალი ჯონჯუა ტელევიზიის რედაქტორობის პარალელურად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პრესსამსახურის უფროსადაც მუშაობდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის, აწ განსვენებული თამაზ ნადარეიშვილის ავტორობით გამოცემული წიგნების და დოკუმენტური ფილმის – „შეთქმულება საქართველოს წინააღდეგ“ მასალების მოძიებასა და გამოცემაში. ეს მასალები იყო პირველი მცდელობა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მსოფლიო მასშტაბით არსებული საინფორმაციო ვაკუუმის გასარღვევად და იქ დატრიალებული ტრაგედიის ნამდვილი მიზეზების სააშკარაოზე გამოსატანად. ქალბატონი დალი ათეული წლების განმავლობაში დაუღალავად ახსენებდა მაყურებელს აფხაზეთს, მის პრობლემატიკას, რესპონდენტებთან ერთად მსჯელობდა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაზე, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზებზე...

მიუხედავად ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობისა, ქალბატონი დალი მუშაობას აგრძელდებდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრესსპიკერად, იყო ასევე აფხაზეთის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ის სიცოცხლის ბოლო წუთამდე აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფში. ტელესივრცესა და სოციალურ ქსელში არ ყოფილა მნიშვნელოვანი თემა, რომელსაც ქალბატონი დალი არ გამოხმაურებოდა.

შესანიშნავი ჟურნალისტის, თავისი ქვეყნის პატრიოტის, ღირსეული დედის, მეუღლის და მეგობრის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მათ გულებში, ვინც ქალბატონ დალის იცნობდა. დაე, მარადიულ ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული.

მეგობრები



მიხეილ, ჯემალ, გიზო, დადაში, რომან კუხალაშვილები ოჯახებით იუწყებიან საგვარეულოს ერთ-ერთი თავკაცის, ღირსეული მამულიშვილის, ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, წესრიგიანობით, გულითადობით და მეგობრობით გამორჩეული პიროვნების

ტარიელ კუხალაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ძვირფას ოჯახს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ტარიელ კუხალაშვილის სპეტაკი სული.

პანაშვიდი 18 X, მისამართი: ბალანჩივაძის ქუჩა, V კორპუსი, I სადარბაზო, მე-3 სართული.

დაკრძალვა 19 X, 15 სთ-ზე, საბურთალოს ამაღლების (გაზდელიანის) ეკლესიიდან.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

ლიანა აბესალაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ხვიჩა კვარაცხელიამ და ნიცა თავაძემ ჯვარი დაიწერეს

კადრები ქორწილიდან

ქართველმა ფეხბურთელმა ხვიჩა კვარაცხელიამ ჯვარი დაიწერა, მისი რჩეული ნიცა თავაძეა. ჯვრისწერის ცერემონია მცხეთაში, დედათა მონასტერში გაიმართა. ვიდეოებს ადგილიდან ხვიჩას ნათესავი, მოდელი და ინფლუენსერი ლიკა კვარცხელია აქვეყნებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

„ევროპალია“ – შეიქმენით წარმოდგენა ქართველ ერსა და ქართულ კულტურაზე

კულტურის საერთაშორისო ფესტივალი „ევროპალია“ წელს საქართველოს ეძღვნება. 4 თვის განმავლობაში ევროპის სხვადასხვა ქალაქში ქართული კულტურის, ისტორიის წარდგენითი ღონისძიებები გაიმართება.

კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, ფესტივალის ფარგლებში მსმენელი და გამოფენების დამთვალიერებელი შეიქმნის ძალიან კონკრეტულ წარმოდგენას, თუ რა არის ქართული კულტურა და საიდან მოდის ქართველი ერი.

„ნახავს, რომ ის მოდის ძალიან შორიდან. ვიბრძვით სისხლის ფასად, რომ შევინარჩუნოთ ქრისტიანობა და შესაბამისად, ჩვენი ეროვნულობა. ასევე, ევროპელები დარწმუნდებიან იმაში, რომ ჩვენ მართალია ვართ ევროპული კულტურა და სხვაგვარად ეს არ არის, მაგრამ ამავდროულად, ჩვენ თვითმყოფადი კულტურა ვართ“, – განაცხადა წულუკიანმა. ფესტივალი 2024 წლის 14 იანვარს დასრულდება.

„თბილისური შემოდგომის ფერები“



Lart Gallery-ის საგამოფენო სივრცეში საქართველოს მხატვართა კავშირის წევრის თენგიზ მიკოიანცის პერსონალური გამოფენა „თბილისური შემოდგომის ფერები“ გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვარის 60-მდე ნამუშევარი, რომლებიც შექმნილია ორიგინალური ფერებითა და ჩრდილებით და ასახავს იმ გარემოს, სადაც მხატვარი ცხოვრობს და მუშაობს, ძველი თბილისისა და თანამედროვე თბილისის ქუჩების მოტივებით. გამოფენას ესწრებოდნენ მხატვრები, ხელოვანები, სტუმრები როგორც საქართველოდან, ასევე სომხეთიდან.

ეკვადორის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი

35 წლის მიზნესმენი დანიელ ნოგოა ეკვადორის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი გახდა.

კვირას გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ნოგოამ ხმათა 52,3% მიიღო, მისმა კონკურენტმა ლუისა გონსალესმა კი 47,7%. გონსალესმა მარცხი აღიარა და ნოგოას გამარჯვება მიულოცა. ნოგოა ეკვადორის მთავრობას მხოლოდ 17 თვის განმავლობაში, შემდეგ არჩევნებამდე უხელმძღვანელებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ არჩევნები ვადაზე ადრე დაინიშნა, რადგან ეკვადორის პრეზიდენტმა გილიერმო ლასომ პარლამენტი იმპიჩმენტის პროცესის დროს დაითხოვა. ნოგოას ინაუგურაცია 25 ნოემბერს, მის 36-ე დაბადების დღემდე 5 დღით ადრე ჩატარდება.

„მზად ვარ, ჩავენაცვლო „ჰამასის“ ტყვეობაში მყოფ ბავშვებს“ –

იერუსალიმის კათოლიკე პატრიარქი

რომის პაპ ფრანცისკეს წარმომადგენელმა კარდინალმა პიერბატისტა პიცაბალამ წმინდა მიწაზე განაცხადა, რომ ის მზადაა ისრაელელი ბავშვების ნაცვლად „ჰამასის“ ტყვეობაში თვითონ აღმოჩნდეს და ბავშვებს ჩაენაცვლოს.

„მზად ვარ, რომ ჩავენაცვლო. ნებისმიერი რამისთვის მზად ვარ, თუ ამან შეიძლება ბავშვები სახლში დააბრუნოს. ჩემი მხრიდან სრული მზადყოფნა იქნება. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, არის მძევლების გათავისუფლების მცდელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტის ესკალაცია გარდაუვალია“, – აცხადებს კარდინალი.

თუმცა მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას და მის ოფისს ჯერ არ ჰქონიათ პირდაპირი კონტაქტი „ჰამასთან“.

ცნობილმა სასულიერო პირმა რუსეთი დატოვა

რუსეთში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა სასულიერო პირმა, ღვთისმეტყველმა **ანდრეი კურაევმა**, რომელიც მანამდე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პროტოდიაკონი იყო, ქვეყანა დატოვა.

„არ მსურს ანეკდოტის იმ გმირს დავემსგავსო, რომელმაც სამაშველო ვერტმფრენში ჩაჯდომაზე სამჯერ თქვა უარი“ – დაწერა კურაევმა ტელეგრამში.

ანდრეი კურაევი საცხოვრებლად ჩეხეთში გადავიდა. ის ამბობს, რომ მისი „მოსკოვის სამყარი“ განადგურებულია, ხოლო რუსეთში ლექციების წაკითხვა მისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია გახდა. ღვთისმეტყველი ჩეხეთში გამგზავრებას შრომით მიგრაციას უწოდებს. მას იმედი აქვს, რომ ევროპაში ლექციებს გამართავს და პუბლიცისტურ საქმიანობას გააგრძელებს. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ კურაევმა ომის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. 2023 წლის გაზაფხულზე მას სასულიერო პირის წოდება პირადად რუსეთის პატრიარქმა კირილემ ჩამოართვა „დესტრუქციული საქმიანობის“ გამო. კურაევისთვის ეკლესიიდან ჩამოშორება ჯერ კიდევ 2020 წელს იგეგმებოდა მისი კრიტიკული განცხადებების გამო. 2022 წლის აგვისტოში ის რუსეთის არმიის დისკრედიტაციისთვის 30 ათასი რუბლით (300 აშშ დოლარით) დააჯარიმეს. ამასთანავე, სასამართლოს ჯარიმის მიზეზად კურაევის კონკრეტული განცხადებები არ მოუყვანია.

კაბა, რომელიც ფერს იცვლის



კომპანია Adobe-მ წარმოადგინა კაბა, რომელიც ფერს იცვლის – კაბა შედგება „მოქნილი ტექსტილური მონიტორებისგან“, რომლებშიც სენსორული გადამცემებია ჩაკერილი.

ღილაკზე დაჭერისას და მოძრაობის დროს კაბას ფერის შეცვლა შეუძლია.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 20 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6925; ევრო - 2.8403;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2725;
100 რუბლი - 2.7707; თურქული ლირა - 0.0968;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5855;
1000 სომხური დრამი - 6.7502

ამინდი 18 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+18
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+19
თბილისი:	ღამე	+9,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge